ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 20 ივნისი, 2018 | №144 (7689) | ფასი: 50 თეთრი

## შსს-მ ნიკა გვარამიას წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო



გვ.7

19 ივნისიდან

ალექსანდრე იასაღაშვილი

„მგლის ბილიკი“

ქართული დეტექტივი ტომი 1




ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

# გახარიამ და მელიამ იჩხუბეს




შს მინისტრობის კანდიდატი დეპუტატს: „კიდევ თუ იხულიგნებთ, იმავე პასუხს მიიღებთ“

გვ.3

## კახა კუჭავა: „ეს არის დროებითი მთავრობა, რომელიც 3 კვირის შემდეგ შეიცვლება“

გვ.2



„ზურაბ ტყემალაძე მირჩევს, რომ სასამართლოს მივმართო. ამას მისი რჩევის გარეშეც გავაკეთებ“

გვ.4




## ზვიად ჩიტიშვილი: „მრეწველებმა ივანიშვილის სახელით ჩვენგან ნახევარი მილიონი ლარი მიითვისეს“

### სამართალი

გვ.7



ოჩამჩირეში ძმამ და ციხიდან გამოიყვანა და მოკლა



დიდი ოდენობით ქონების მოტყუებით დაუფლების ფაქტებზე 2 პირი პასუხისგებაში მისცეს

პატიმრები სასამართლო სხდომებში მონაწილეობას ციხიდანაც მიიღებენ



### ეკონომიკა

გვ.6

სახელმწიფო უნდა ქმნიდეს პირობებს, რომ ბიზნესმა სამუშაო ადგილები შექმნას





შპს ფოთის ნავთობგადამამუშავებელი გაკოტრებულად გამოცხადდა

მცირე კომპანიებს მსხვილ სავაჭრო ქსელებში პროდუქცია ვერ შეაქვთ



ISSN 1987-9385

2 ზაზა სარალიძე: „მე და მაჩალიკაშვილებს ერთი დიდი ტკივილი გვაერთიანებს“

4 ნიკოლოზ გაგუა: „ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმები ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდაზეა ორიენტირებული“

5 სალომე სამადაშვილი: „ბახტაძეს ცოტა მცდარი წარმოდგენა აქვს იმ პრობლემებზე, რომლებიც მის წინაშე დგას“

6 „ბიუროკრატია და მმართველობითი ორგანოები უნდა იყოს იმ ზომის, რაც აუცილებელია კონკრეტული ამოცანების გადასაწყვეტად“

# კახა კუჭავა: „ეს არის დროებითი მთავრობა, რომელიც 3 კვირის შემდეგ შეიცვლება“

ნათია ხურცილავა

**„ქართული ოცნების“ წევრი, პარლამენტის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე კახა კუჭავა, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პრემიერმინისტრობის კანდიდატისა და „ქართული ოცნების“ შეხვედრის შესახებ საუბრობს.**




***– ბატონო კახა, საპარლამენტო უმრავლესობის წევრებს შეხვედრა გქონდათ მინისტრობის კანდიდატებთან და პრემიერობის კანდიდატთან, შეხვედრაზე რა შეკითხვები დაისვა და როგორ აფასებთ მინისტრობის კანდიდატებს?***

– ეს არის დროებითი მთავრობა, საუბარია ტექნიკურ ცვლილებებზე. მას შემდეგ, როდესაც პარლამენტი ამ მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობას დაამტკიცებს, პრემიერი წარმოადგენს ახალ სტრუქტურას, ზოგადად ახალ მიდგომას მცირე მთავრობის კონცეფციასთან დაკავშირებით. სწორედ მაშინ წარმოდგენილი იქნება მინისტრობის ახალი კანდიდატები.

***– საბოლოოდ რომელი სამინისტროს პირველი პირები შეიცვლებიან?***

– ჯერ ამ საკითხზე საუბარი არ ყოფილა. ამის შესახებ მას შემდეგ იქნება საუბარი, როდესაც ამ მთავრობის შემადგენლობას დავამტკიცებთ. ახალ სტრუქტურულ ცვლილებებს მივიღებთ. ამ ცვლილებებზე ვიმსჯელებთ და ამის შემდეგ მივიღებთ ინფორმაციას განახლებულ კანდიდატებთან დაკავშირებით. ვფიქრობ, მერე უფრო საინტერესო იქნება საუბარი.

ამდენად, ეს ცვლილებები, რაც ახლა ხორციელდება, ტექნიკური ცვლილებებია და ამ ეტაპზე არ უნდა ველოდოთ სიახლეს.

***– ძველ შემადგენლობასთან კითხვები თუ გქონდათ?***

– რა თქმა უნდა, კითხვები იყო.

***– კონკრეტულად?***

– მაგალითად, ევროინტეგრაციის კუთხით. ყურადღება გამახვილდა სხვადასხვა მიმართულებით. საუბარი იყო ეკონომიკური პროგრამების გაძლიერებაზე. იმ ახალ ხედვაზე, რომელიც მართლაც უნდა დაეტყოს ჩვენს მოქალაქეებს, თითოეულ ოჯახს. რასაკვირველია, აქ ძალიან მოკლე პერიოდზეა საუბარი.

ასევე, საუბარი იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილ ცვლილებებზე, ხედვებზე, იმ რეფორმებზე, რომლებიც დაგეგმილია. რა თქმა უნდა, აქ საუბარია არ მხოლოდ პოლიციელებისთვის ხელფასების გაზრდაზე, არამედ სხვადასხვა სოციალური პროგრამების კუთხით დაგეგმილ რეფორმაზე.

***– მცირე მთავრობის კონცეფციაზე ისაუბრა ბახტაძემ. მისი განმარტებით, დაახლოებით 120 მილიონიან დანაზოგ ზეა საუბარი. რა მიმართულებით წავა ეს დანაზოგი?***

– დეტალურად ამ დანაზოგის შესახებ, რა მიმართულებით წავა ეს დანაზოგი, მას შემდეგ გახდება ცნობილი, როდესაც 11 სამინისტროს კონცეფცია იქნება წარმოდგენილი. მოგეხსენებათ, რომ 14 სამინისტროდან 11-სამინისტრომდე ხდება შემცირება, რესტრუქტურიზაცია. სწორედ ამის შემდეგ გვეცოდინება სრული სურათის შესახებ.

***– ბატონო კახა, კანდიდატებზეც რომ გვითხრათ, ვინ იქნებიან წარმოდგენილი?***

– სანამ სამინისტროების შემცირების შესახებ სრული კონცეფცია არ იქნება წარმოდგენილი, მანამდე ვინ იქნებიან კანდიდატები, გამიჭირდება ამის თქმა. სტრუქტურული რეფორმის შემდეგ უფრო ლოგიკური იქნება ამ დეტალებში ჩასვლა.

***– ამ შეხვედრაზე საერთოდ არ იყო ახალ სახეებზე საუბარი?***

– არა და ვერც იქნებოდა.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ ეს არის შემდეგი ეტაპის ამოცანა.

***– რატომ სამკვირიანი მთავრობა?***

– იმიტომ, რომ ეს პროცესი უნდა გაგვევლო, რომ კანონმდებლობა არ დარღვეულიყო. ეს არის სამართლებრივი რეალობა.

***– ოპოზიცია ამბობს, რომ „ქართულ ოცნებას“ და ბიძინა ივანიშვილს ეს პერიოდი კანდიდატებზე ჩამოსაყალიბებლად სჭირდება – ვის შეელიოს და ვის არა. რას იტყვით?***

– ოპოზიციას ვურჩევდი, კანონმდებლობას ჩახედოს. ჩვენ მივყვებით სამართლებრივად ზუსტად იმ პროცედურებს, რომლებიც კანონით არის გაწერილი. ეს ის ვადებია, რომლებიც კანონით არის მოცემული. თუ კანონში ჩაიხედავენ, მაშინ ეს კითხვები არ ექნებათ. ამიტომ, აქ სხვა რამეზე საუბარი შეუძლებელია, იყოს.

## სალომე სამადაშვილი: „ბახტაძეს ცოტა მცდარი წარმოდგენა აქვს იმ პრობლემებზე, რომლებიც მის წინაშე დგას“

ნაციონალური მოძრაობის წევრი სალომე სამადაშვილი მიიჩნევს, რომ პრემიერ-მინისტრის პოსტზე წარდგენილ კანდიდატს ცოტა მცდარი წარმოდგენა აქვს იმ პრობლემებზე, რომლებიც მის წინაშე დგას. ამის შესახებ სამადაშვილმა ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ სხდომაზე განაცხადა, სადაც ამ წუთებში პრემიერობის კანდიდატი სამთავრობო პროგრამას წარადგენს.




– მე ვფიქრობ, რომ პრემიერ-მინისტრის პოსტზე წარმოდგენილ კანდიდატს ცოტათი მცდარი წარმოდგენა აქვს იმ პრობლემებზე, რაც მის წინაშე დგას. ვფიქრობ, მცდარად ფიქრობთ, რომ ბევრად უკეთეს მემკვიდრეობას იბარებთ იმასთან შედარებით, ვიდრე ეს რეალობაა. თქვენ თქვენი გამოსვლა დაიწყეთ იმით, რომ გსურთ ამ ქვეყნის ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია. ამ ქვეყნის საბოლოო დანიშნულებამდე მისვლა, ევროკავშირსა და ნატო-ში ინტეგრაცია. მე კი მინდა გითხრათ, რომ ღარიბ, დაუცველ, სრულიად ჩამოშლილი უსაფრთხოების და უშიშროების სისტემის მქონე ქვეყანას, როგორშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ამ პრობლემების გამოსწორების გარეშე დასავლური მომავალი არ აქვს, – განაცხადა სალომე სამადაშვილმა.

## ზაზა სარალიძე: „მე და მაჩალიკაშვილებს ერთი დიდი ტკივილი გვაერთიანებს“



– მე ჩამოვედი პანკისში, რადგან მე და მაჩალიკაშვილებს გვაერთიანებს ერთი დიდი ტკივილი – ჩვენ დაგვიხოცეს შვილები და სამართალს ვერ ვპოულობთ, – განაცხადა ხორავას ქუჩაზე მოკლული მოზარდის მამამ, ზაზა სარალიძემ, პანკისის ხეობაში, სოფელ დუისში მიმდინარე აქციაზე.

როგორც ზაზა სარალიძემ აღნიშნა, მისი სურვილია, შეხვდეს ახალ პრემიერ-მინისტრს და მოითხოვს, რომ მან პირადად გააკონტროლოს მისი შვილისა და მაჩალიკაშვილის საქმე.

– დღეს, როდესაც ხელისუფლება არ გვყავს, ვერანაირ ვადას ვერ დავაწესებთ, მაგრამ ახალ პრემიერ-მინისტრს შევხვდები და მოვითხოვ, პირადად გააკონტროლოს ეს ორი საქმე. მე მხარდაჭერას ვუცხადებ ქისტ ხალხს, – განაცხადა ზაზა სარალიძემ.

ომბუდსმენი: „პოლიციელებსა და პედაგოგებს უნდა გაეზარდოთ ხელფასები, თუმცა ორივე სისტემაში რეფორმებია გასატარებელი“

შს მინისტრობის კანდიდატ გიორგი გახარიას განცხადებას, რომ პოლიციელებს ხელფასი ეზრდებათ, სახალხო დამცველი ეხმაურება. ნინო ლომჯარია ფაქტს მიესალმება, თუმცა ამბობს, რომ სისტემაში აუცილებელი რეფორმებია გასატარებელი. მისივე შეფასებით, ხელფასი უნდა გაეზარდოს მასწავლებლებსაც:

„მივესალმები პოლიციელებისთვის ხელფასების ზრდას, ასევე, ვფიქრობ, რომ მათი სამუშაო რეჟიმიც ხშირად გაუსაძლისია და გასაუმჯობესებელია, რაც პოლიციის საქმიანობის ხარისხზეც აისახება. ვფიქრობ, რომ როგორც პოლიციელებს, ასევე, პედაგოგებს უნდა გაეზარდოთ ხელფასები, თუმცა, პარალელურად, ორივე სისტემაში შეიძლება მტკივნეული, თუმცა აუცილებელი რეფორმებია გასატარებელი პროფესიონალიზმის გასაუმჯობესებლად, რადგან, პოლიციელთა მხრიდან რიგ შემთხვევებში უმოქმედობა, ან არასათანადო მოპყრობა და ამ ფაქტების არაეფექტური გამოძიება/პასუხისმგებლობის თავიდან არიდება ნდობას უკარგავს და დისკრედიტაციას უწევს ინსტიტუტს, – წერს ლომჯარია „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე

## თალაკვაძე იზორიას სთხოვს, ჯარში წაიყვანოს

– დეპუტატებს გვსურს, გარკვეული პერიოდი ჯარისკაცების ცხოვრებით ვიცხოვროთ და მათთან ერთად გავიაროთ წვრთნა, – ასე მიმართა უმრავლესობის ლიდერმა არჩილ თალაკვაძემ თავდაცვის მინისტრს კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე.

– ბატონო ლევან, თქვენ გაქვთ ჩვენი სრული მხარდაჭერა რეფორმების მიმართულებით. ჩვენი ჯარისკაცები იცავენ სამშობლოს მსოფლიოს ურთულეს წერტილებში. სწორედ ამიტომ, ჩვენი საზოგადოების მხარდაჭერა მათ მიმართ მაღალია. დეპუტატებს გვაქვს სურვილი, რომ გარკვეული პერიოდი ჯარისკაცების ცხოვრებით ვიცხოვროთ, მათთან ერთად გავიაროთ წვრთნა და მომზადება და მივცეთ მაგალითი ჩვენს შვილებს, რომ შეიარაღებულ ძალებში სამსახური დიდი პატივია. ველით თქვენს თანხმობას ამასთან დაკავშირებით, – მიმართა არჩილ თალაკვაძემ თავდაცვის მინისტრობის კანდიდატს.



## გიორგი შენგელაიას ივანიშვილის „ქართუმ“ სტიპენდია შეუწყვიტა

კინორეჟისორ გიორგი შენგელაიას „ქართუ ჯგუფმა“ სტიპენდია გაუუქმა. ინფორმაცია შენგელაიამ „პირველ რადიოს“ თავად დაუდასტურა. რეჟისორი ამ ფაქტს მის მიერ გაკეთებულ სკანდალურ განცხადებას უკავშირებს, სადაც მან ბიძინა ივანიშვილს „გაუნათლებელი კაცი“ უწოდა. შენგელაია ამბობს, რომ დაურეკეს ფონდიდან და პირდაპირ უთხრეს, რომ ტელეეთერით გაკეთებული მისი განცხადება მიუღებელი იყო. შენგელაია ამბობს, რომ სტიპენდიის გაუქმების გადაწყვეტილება უკანონოა:

– ჩემი გამოსვლის მერე, სადაც მე ვთქვი, რომ ბიძინა ივანიშვილი უკითხავი კაცია-მეთქი, სხვა არაფერი სალანძღავი




სიტყვა არ გამომიყენებია, დამირეკა ვინმე ჩხეტიანმა, ეს არის ქართუს ფონდის მმართველი თუ თავმჯდომარე და მითხრა ეგეთი რამე – ბატონო გიორგი, ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ მოგხსნათ სტიპენდიიდან, პირდაპირ თქვა ჩხეტიანმა, რომ რაც დაწერეთ, ეს ჩვენთვის მიუღებელიაო. მე ვუთხარი ძალიან სასიამოვნოა-მეთქი.

მე ვუთხარი, რომ ამას მივიღებ მხოლოდ იმის მერე, რაც ოფიციალურ წერილს გამომიგზავნით-მეთქი. ჯერჯერობით წერილი არ მოსულა. შეიძლება გადაიფიქრეს, რაც მე მეეჭვება იმიტომ, რომ ის საშინელი ჯიუტი კაცია. თუ რამეს უბრძანებს ვინმეს, შემსრულებლები გააკეთებენ. მე ამ ქაღალდს რომ მივიღებ, შევისწავლი ამ ფონდის დებულებას და შეიძლება არის რაღაც მითითებები. ყოველ შემთხვევაში, ამ წლის კონტრაქტს ვერ გამიუქმებს. ეს არის ყოველწლიური ხელშეკრულება, ყოველ წელს აგრძელებენ და ამას ვერ გამიუქმებს.

საერთოდ, უნდა გითხრათ, რომ ჩემს ფილმებს ყველაზე დიდი რეიტინგი აქვს, ყველაზე მოთხოვნადი ფილმებია, ამიტომ აქ შეურაცხყოფა მიაყენეს მთელ ამ კინოშემოქმედებას, იმიტომ რომ შემოქმედება ისეთი რამეა, ყველას ეკუთვნის. მეორეც ერთი, მე ვარ რუსთაველის პრემიის ლაურეატი. სია მაგ პრინციპით შედგა ბიძინასთან, რომ გამოჩენილი ხალხი, ვისი ღვაწლიც არსებობს და ბიძინა ივანიშვილი ჩემს ღვაწლს ვერ წაშლის, ამაშია მთელი საქმე. მე ყველას ვუყვარვარ, ბავში ქალი, კაცი, დიღომში, კახეთში, ყველგან, – განუცხადა გიორგი შენგელაიამ „პირველ რადიოს“.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გახარიამ და მელიამ იჩხუბეს

## შს მინისტრობის კანდიდატი დეპუტატს: „კიდევ თუ იხულიგნებთ, იმავე პასუხს მიიღებთ“




შორენა მარსაგიშვილი

**პრემიერობის კანდიდატი მამუკა ბახტაძე თავის გუნდთან ერთად პარლამენტს სტუმრობდა. როგორც მოსალოდნელი იყო, მეოცნებეები მინისტრობის კანდიდატებს ტაშით და ვაშათი შეხვდნენ, ოპოზიცია კი დაუნდობელი იყო.**

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ნიკა მელია, შეეცადა, მთავრობა ისევე გამოეყვანა წყობილებიდან, როგორც ეს გასული წლის ბოლოს გააკეთა. გახსოვთ, ალბათ, როგორ გადაირია გიორგი კვირიკაშვილი, რომელმაც მისი კეთილების მოხსენიებაც კი დაიწყო.

ამჯერად მელიას მთავარი სამიზნე შინაგან საქმეთა მინისტრობის კანდიდატი გიორგი გახარია იყო. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ დეპუტატი მას უმიზეზოდ არ დაპირისპირებია.

11 ივნისს რუსთაველის გამზირზე დრამატული მოვლენები განვითარდა. მაშინ სამართალდამცავებმა მელიასაც სტაცეს ხელი. ნაციონალური მოძრაობის მტკიცებით, დეპუტატს პოლიციელები ყელში სწვდნენ და გაურკვეველი მიმართულებით გაიტაცეს.

დეპუტატის ხელყოფილი უფლების გამო შს მინისტრს მაშინ პარლამენტის სპიკერი შეხვდა. გახარიამ ირაკლი კობახიძე დაარწმუნა, რომ მელია კი არ მოიტაცეს, არამედ იქაურობას განარიდეს.

ეს პასუხი ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერისთვის დამაკმაყოფილებელი არ აღმოჩნდა და მან პირადად მოსთხოვა მინისტრს პასუხი.

ნიკა მელიამ გახარიას იმ ათი პირის ვინაობა დაუსახელა, რომლებიც მის დაკავებაში მონაწილეობდნენ. მისი თქმით, ათივე პირი სამმართველოსა და დეპარტამენტის უფროსია.

– ყველა ის პირი, ვინც უშუალოდ მონაწილეობდა ჩემს გატაცებაში, ჩატენაში და შემდეგ ხელბორკილების დადებაში, არის იდენტიფიცირებული ჩვენ მიერ. არც ერთი მათგანი არ არის რიგითი პოლიციის თანამშრომელი, პირდაპირი გაგებით, ვინც ამწია ხელში და მანქანაში ჩამტენა. ვინ არიან ესენი – ბატონი შალვა ბედოიძე, ქალაქის სამმართველოს უფროსი; მეორე, ბაჭულაშვილი, ქალაქის სამმართველოს უფროსის მოადგილე; სულხან თამაზაშვილი, ვაკე-საბურთალოს სამმართველოს უფროსი; თემურ კალანდაძე, გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს უფროსი; თემუკა კალანდაძე, ადამიანი, რომელიც ცდილობდა მობილური ტელეფონის წართმევას... მანუჩარ მამსირაშვილი, ძველი თბილისის სამმართველოს უფროსი; მიხეილ ქურდაძე ძველი თბილისის სამმართველოს უფროსის მოადგილე. შემდეგ მიხეილ პაპაიაშვილი გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს დეტექტივების უფროსი და ბოლოს თემურ კუპატაძე, რესპუბლიკის საპატრულოს უფროსი და ამას დამატებული თქვენი მოადგილე, საბანაძე.

ამ ადამიანების დაქვემდებარებაში არის 400-500-600 და 2.000 კაცი, უშუალოდ, პირადად იღებდნენ დეპუტატის გატაცებაში მონაწილეობას. როგორ მოხდა, რომ ათივე ადამიანი, სამმართველოს, დეპარტამენტების უფროსები და არც ერთი რიგითი თანამშრომელი არ იყო და ამ ათმა მოახდინა დანაშაულებრივი დავალების შესრულება? რომ არა თქვენ, ვის შეეძლო მათზე დავალების გაცემა, – ხმამაღლა მიმართა გატაცებულმა დეპუტატმა მინისტრობის კანდიდატს.

მელიამ ხორავას ქუჩის საქმეზეც გაამახვილა ყურადღება. მან გახარიას გასული წლის 4 დეკემბერს გაკეთებული განცხადება გაიხსენა. მაშინ შს მინისტრმა თქვა, რომ ხორავას ქუჩაზე მომხდარ დანაშაულში მონაწილე ყველა პირი დაკავებულია.

– საბოლოოდ კი სხვაგვარად აღმოჩნდა. ხორავას ქუჩის საქმე გაყალბებულია, – აღნიშნა მელიამ.

მანვე მინისტრობის კანდიდატს თბილისის ცენტრიდან გატაცებული აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუხთარლის საქმესთან დაკავშირებითაც დაუსვა კითხვა. არადა, იმ დროს შს მინისტრი გიორგი მღებრიშვილი იყო.

დეპუტატის ემოციურ გამოსვლას ოლიმპიური სიმშვიდით უსმენდა გახარია. მისმა პასუხმა მელია სულ გადარია. გახარიამ მას ჩაუზუსტა, რომ პოლიციამ კი არ გაიტაცა, არამედ რუსთაველის გამზირს განარიდა.




რაც შეეხება მუხთარლის საქმეს, გახარიამ მელია პასუხის მისაღებად პროკურატურასთან გადაამისამართა.

მინისტრობის კანდიდატმა მელიას კანონის დარღვევაც დასდო ბრალად და თქვა, რომ თუ დეპუტატი იმავეს გააკეთებს, პოლიცია მას ისევ განარიდებს.

– თითოეულ პოლიციელს, რომელიც მონაწილეობას იღებდა იმ დღეებში რუსთაველზე მიმდინარე აქციებში, მინდა უდიდესი მადლობა გადავუხადო, რადგან ამ ხალხმა ზოგიერთი პოლიტიკურად ანგაჟირებული მომიტინგისგან მოისმინა და მოითმინა უდიდესი შეურაცხყოფა.

თქვენ უხეშად არღვევდით წესრიგს, შეურაცხყოფას აყენებდით პოლიციას. თქვენ ბრალი მიგიძღვით იმაში, რომ პოლიციის მოთხოვნებს არ ემორჩილებოდით. ბევრ ფაქტს წარმოგიდგენთ, უფრო მეტიც, ეს იყო საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესებისთვის გაკეთებული, თქვენ დღეს აქ ხართ და არ ხართ დაკავებული. თქვენ სპეკულირებთ იმ იმუნიტეტით, რომელიც გაქვთ და კიდევ ერთხელ გეუბნებით, მსგავსი შემთხვევის გამეორების პირობებში იმავე შედეგი იქნება, გარწმუნებთ, – მშვიდად მიმართა გიორგი გახარიამ ნიკა მელიას.

მელია აშკარად კარგ ფორმაში იყო და პრემიერობის კანდიდატსაც დაუძაბა. მამუკა ბახტაძეს მან 2012 წელს ნაციონალებისთვის გადარიცხული 20.000 ლარი გაახსენა და ფარისევლობაში დაადანაშაულა.

– მარტივად ჩაგიდიათ ნაციონალური მოძრაობის კალათაში კვერცხი და „ქართულ ოცნებაშიც“ და ან ერთი მოიგებს, ერთთან ვიქნები, მეორე მოიგებს, მეორესთან ვიქნები. ეს გააკეთეთ, მარტივად თქვით. ხედავ, იგრძნობა სიყალბე, ფარისევლობა, არადამაჯერებლობა, – მიმართა მელიამ ბახტაძეს.

ამაზე ბახტაძემ დეპუტატს ასეთი პასუხი გასცა:

– ფარისევლობა და ნაციონალური მოძრაობა ძალიან იდენტური ცნებებია.

მან განმარტებები ნაცებისთვის გადარიცხულ 20.000 ლარზეც გააკეთა.

– რაც შეეხება ჩემ მიერ გადარიცხულ თანხას, თქვენ თუ გაინტერესებთ ის, რომ რამდენად მე გადავრიცხე ჩემი თანხა ენმ-ის მხარდასაჭერად, მე ამაზე მაქვს ძალიან მარტივი და პირდაპირი პასუხი – არა, მე ჩემი თანხა არასდროს გადამირიცხავს ენმ-თვის.

თქვენ 2012 წელს იმიტომ, რომ არ ჰქონოდა საშუალება „ქართულ ოცნებას“, დაეფინანსებინა პარტია ადეკვატურად, შეცვალეთ კანონი და იურიდიულ პირებს აუკრძალეთ პარტიების დაფინანსება. ამას მოჰყვა შემდეგ უკვე ცვლილება კანონში „საბანკო საქმიანობის შესახებ“. ესეც ყველას გვახსოვს. აქედან გამომდინარე, ჩემი პირადი ფიზიკური ანგარიში იქნა გამოყენებული მხოლოდ ტექნიკურად, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

მის მიმართ პრეტენზიები ჰქონდა რომან გოცირიძესაც. პრემიერობის კანდიდატს 20.000 ლარი მანაც გაუხსენა.

მანამდე ბახტაძემ აღნიშნა, რომ ეკონომიკაში უთანასწორო ვითარება ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებიდან გადმოყოლილია.

– თქვენ არ გესმით ალბათ, რა არის ეკონომიკური მოდელი. მოდელი შევქმენით ჩვენ. ჩვენ შევქმენით მართლაც თავისუფალი ეკონომიკური მოდელი, რომელმაც შეცვალა შევარდნაძის კორუმპირებული მოდელი. საქართველოში თუ არსებობს უსამართლო სისტემა, ის შეიქმნა ამ 6 წლის განმავლობაში. ბრალს გდებთ სამივე პრემიერს და გთხოვთ დაამტკიცოთ, რომ ეს სისტემა შეიქმნა არა ბოლო 6 წელიწადში, არამედ იმ 9 წელიწადში.

მოგიყვებით თუ გინდათ, იმ ცხრა წელიწადში რა შეიქმნა. თქვენ შეიქმენით იმ 9 წელიწადში, აბსოლუტურად უცნობი ახალგაზრდა, ჩამოსული მოსკოვიდან, მაგისტრატურიდან, გახდით ერთ-ერთი დიდი ფირმის გენერალური დირექტორი, რომელსაც იმდენი შემოსავალი გაუჩნდა, რომ 20 ათას ლარს სწირავდა ნაციონალურ მოძრაობას. ჩვენ შევქმენით სიმდიდრე, მათ შორის თქვენ მიერ შეწირული სიმდიდრე, - – მიმართა გოცირიძემ 20.000 ლარის გამო 20.000-ჯერ შეჩვენებულ ბახტაძეს.

როგორც მოსალოდნელი იყო, კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს იუსტიციის მინისტრობის კანდიდატი თეა წულუკიანი, რომელიც თავს საკმაოდ კარგად იცავდა და იქეთ ამწარებდა ოპოზიციას.

თეა წულუკიანის სიამაყით განაცხადა, რომ იუსტიციის სამინისტროს მიერ გატარებული რეფორმები არ ჩაფლავებულა და უწყების მიერ გაწეული სამუშაო ოპოზიციის დასაკნინებელი არაა.

– ირმა ნადირაშვილმა დასვა კითხვა, ჩააფლავე რეფორმებიო, მე ერთი შილაფლავი მახსოვს 2012 წლის პირველ ოქტომბერს. ფლავი, არ ვიცი, საიდან მოვიდა. რეფორმები, რომელიც ჩვენ გავატარეთ, ჩაფლავებული არ არის. ამის დაკნინების მცდელობის უფლებას, სანამ მე ვარ პოლიტიკურ ასპარეზზე და შიგნით ვიქნები თუ გარეთ, ამის საშუალებას ნამდვილად ვერ მოგცემთ.

ეფექტი არის, რომ შეკრებითობის წესით აღარ სხდებიან ციხეში მრავალი წლით და ამის ავტორები ჩვენ ვიყავით, მთავრობა და იუსტიციის სამინისტრო. საპროცესო შეთანხმების რეფორმა გატარდა და აღარ არის ეს, რომ მომეცი ფული და გაგიშვებ ციხიდან. წინასწარი პატიმრობა გადასინჯვადი გახდა რამდენიმე კვირაში ერთხელ, რამაც მოიტანა ეფექტი, რომ ხალხი წინასწარ პატიმრობაში არ ელოდება განაჩენს და გამოიყენება გირაო ან სხვა ღონისძიებები, – აღნიშნა წულუკიანმა.

ოპოზიციის მიერ შერისხულ წულუკიანს დეპუტატი ვანო ზარდიაშვილი ამბრაზურასავით გადაეფარა. მისი თქმით, მინისტრობის კანდიდატმა ჩვენი ქვეყნისთვის ფასდაუდებელი სამუშაოები შეასრულა.

– განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსისთვის; ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობისთვის; აღსრულების ახალი კანონისთვის; სისხლის სამართლის კოდექსის ძირეული ცვლილებებისთვის; დასკვნით ფაზაში არსებული გადახდისუუნარობის ახალი კანონისა და სხვა უამრავი საკანონმდებლო ცვლილებისთვის რომელსაც იუსტიციის სამინისტრო ახორციელებს ქალბატონი თეას ხელმძღვანელობით.

ვისურვებდი, რომ მისნაირ მინისტრებს კიდევ დიდხანს ჰქონდეთ უანგაროდ და განსაკუთრებული პროფესიონალიზმით მუშაობის საშუალება. ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც დაცლილია სახელმწიფოებრივი ხედვისგან ვერც კი ხვდება, როგორი არაჯანსაღია მათი მოთხოვნა იუსტიციის მინისტრის გადადგომასთან დაკავშირებით, – განაცხადა ზარდიაშვილმა.

ქებით რომ დაიღალა, მან იუსტიციის მინისტრობის კანდიდატს რამდენიმე შეკითხვაც დაუსვა. ეს კითხვები ისეთი იყო, რომ უმრავლესობის წევრები კინაღამ ტაშის დაკვრით დაიხოცნენ.

– როგორ მოახერხეთ ქალბატონო თეა, რომ ბიუჯეტი აღარ ივსება საპროცესო შეთანხმებით შემოსული თანხებისგან?

– როგორ მოახერხეთ, რომ ადამიანის უფლებები აყვანილია აბსოლუტურად სხვა რანგში?

– როგორ მოახერხეთ, რომ პროკურორები ასე უცებ და მყისიერად რეაგირებენ საზოგადოების მოთხოვნებზე?

– როგორ მოახერხეთ, რომ ადამიანის წამება, არაადამიანური მოპყრობა და ძალადობა ქვეყანაში აღარ არსებობს?

– როგორ მოახერხეთ, რომ ასე მალე მიიღეთ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ახალი კოდექსი, ანტიდისკრიმინაციული კანონი?

– როგორ მოახერხეთ, ასევე, რომ აღსრულების ახალი კანონია მიღებული, ასევე – სისხლის სამართლის კოდექსის ძირეული ცვლილება?

– როგორ მოახერხეთ ისე, რომ ამ ყველაფერს ჩვენი ოპონენტები ვერ ხედავენ?

– როგორ მოახერხეთ, რომ 83%-ით არის გამამართლებელი განაჩენის რაოდენობა გაზრდილი, 95%-ით შემცირებულია გირაობის ოდენობა, 79%-ით შემცირებულია სასჯელის სახით პატიმრობის შეფარდება, 11-ჯერ ნაკლები საჩივარი იგზავნება სტრასბურში?

– ეს ყველაფერი როგორ მოახერხეთ, ქალბატონო თეა? – მიმართა ვანო ზარდიაშვილმა ქალბატონ თეას.

* * *

კარგი იქნებოდა, თუ ამ კითხვების ავტორი თავადაც გასცემდა ერთ კითხვას პასუხს – როდის გახდა ის წულუკიანის ფანი – მას პარლამენტში, როგორც ზურაბ ადეიშვილის მარჯვენა ხელს, ისე იცნობენ.

# ზვიად ჩიტიშვილი: „მრეწველებმა ივანიშვილის სახელით ჩვენგან ნახევარი მილიონი ლარი მიითვისეს“

შორენა მარსაგიშვილი

**„მრეწველთა" პარტიის ლიდერები გოგი თოფაძე და ზურაბ ტყემალაძე სკანდალში გაეხვივნენ. რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი, ზვიად ჩიტიშვილი, მათ ნახევარი მილიონის მითვისებაში ადანაშაულებს. ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი ამ ამბავში ის არის, რომ „მრეწველთა" ლიდერები ბიძინა ივანიშვილის სახელით სარგებლობდნენ.**




## „ზურაბ ტყემალაძე მირჩევს, რომ სასამართლოს მივმართო. ამას მისი რჩევის გარეშეც გავაკეთებ“

„ახალ თაობასთან“ საუბარში ზვიად ჩიტიშვილი ამბობს, რომ ისინი მას მოკლე ტექსტურ შეტყობინებებსაც აჩვენებდნენ, რომლებიც თითქოს ბიძინა ივანიშვილის მიერ იყო გამოგზავნილი.

მათი გზები 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე გადაიკვეთა. არჩევნებში ჩიტიშვილი და მისი პარტია „ჩვენი სამშობლოც“ მონაწილეობდნენ. ამ პარტიაში ძირითადად აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილები არიან გაწევრიანებული.

ერთ დღესაც ამ პარტიის ოფისში მივიდა გოგი თოფაძე და „ჩვენი სამშობლოს“ წევრებს საარჩევნო ბლოკის შექმნა შესთავაზა.

რატომ არ უნდოდა „მრეწველებთან“ გაერთიანება, რა ხრიკებს იყენებდა ზურაბ ტყემალაძე, რა ეწერა ვითომდა ივანიშვილის გამოგზავნილ მესიჯში, რა სპექტაკლი დადგეს ცესკოში, ვისი დავალებით ხორციელდება მასზე თვალთვალი? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ პარტია „ჩვენი სამშობლოს“ ლიდერი ზვიად ჩიტიშვილი ესაუბრება.

**ზვიად ჩიტიშვილი:**

– ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ ასეთი შთაბეჭდილებაა შექმნილი, რომ ბიძინა ივანიშვილი არის რუხი კარდინალი. სინამდვილეში ეს სტატუსი სულ სხვა ადამიანს ეკუთვნის – „ოცნებაშიც“ და ქვეყანაშიც რუხი კარდინალი ზურაბ ტყემალაძეა.

ისტორია, რომელსაც მოგიყვებით და რომელსაც აუცილებლად მოჰყვება სკანდალური გაგრძელება, ყველას დაგარწმუნებთ იმაში, რომ „მრეწველების“ ლიდერი ბევრ რამეს წყვეტს, არც თაღლითობას ერიდება და ამას ბიძინა ივანიშვილის სახელით აკეთებს.

საპარლამენტო არჩევნების წინ „მრეწველებმა“ სწორედ მისი სახელით მიითვისეს ჩვენგან ნახევარი მილიონი ლარი. ასევე თაღლითობით მიაღებინეს „ოცნებას“ ისეთი კანონი, რომლითაც ალასანიას პარტია დაფინანსების გარეშე დარჩა, სამაგიეროდ, „მრეწველები“ იღებენ ბიუჯეტიდან სერიოზულ დაფინანსებას. ეს დაფინანსება მათ ბლოკის მიერ ხაშურში წარდგენილი მაჟორიტარობის კანდიდატის გამარჯვებით მოიპოვეს.

ეს დაფინანსება პარტია „ჩვენს სამშობლოსაც“ ეკუთვნის, მაგრამ მთელი თანხა „მრეწველებს“ მიაქვთ. არადა, ჩვენი საარჩევნო ბლოკი ისევ არსებობს, მისი გაუქმება ოფიციალურად არ მომხდარა.

***– თუ ბლოკი არსებობს, რანაირად ხდება, რომ მასში შემავალ ერთ ობიექტს აფინანსებს ბიუჯეტი, მეორეს – არა?***

– ეს ყველაფერი ზურაბ ტყემალაძემ მოაწყო. თავს იმით იმართლებენ, რომ თითქოს ხაშურში გამარჯვებული კანდიდატი, სიმონ ნოზაძე, „მრეწველების“ პარტიის წევრი იყო. პარლამენტში მოხვედრის შემდეგ მან „ოცნების“ დეპუტატების დახმარებით მართლაც შექმნა „მრეწველების“ ფრაქცია, მაგრამ ამ პარტიის წევრი არ ყოფილა. არჩევნების წინ ჩვენ არაერთი საუბარი გვქონდა. მას ჩემთანაც და მედიასთანაც რამდენჯერმე აქვს ნათქვამი, რომ ის არც ერთი პარტიის წევრი არ არის.

ეს ადამიანი უშიშროების გენერალი გახლავთ. კანონით მას რომელიმე პარტიის წევრობა ეკრძალებოდა. იქიდან გამომდინარე, რომ ნოზაძე სპეცსამსახურებში მსახურობდა, მას კარგად უნდა ესმოდეს, თუ რას ნიშნავს ქვეყნის უსაფრთხოება, უნდა იცოდეს ისიც, რომ არ შეიძლება სახელმწიფოს წინააღმდეგ ფინანსური აფერის მოწყობა. რასაც „მრეწველები“ აკეთებენ, ეს არის აფერა და საბიუჯეტო სახსრების უკანონოდ მითვისება.

ამაზე „მრეწველებს“ აუცილებლად მოვთხოვთ პასუხს, ისევე, როგორც იმ ფულზე, რომელიც ჩვენგან წაიღეს. ამ თანხის შესახებ მათ დეკლარაციაში მითითებული არა აქვთ, რაც ასევე სერიოზული კანონდარღვევაა.

***– იქნებ უფრო დეტალურად აგვიხსნათ, რატომ მიეცით მათ ნახევარი მილიონი ლარი?***

– არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე ჩვენს პარტიაში მოვიდნენ „მრეწველთა“ პარტიის წევრები – ასაკიანი ხალხი. მათ მოლაპარაკებებისას ისეთი ადამიანის სახელი ახსენეს, რომელსაც მთელი საქართველო სცემდა პატივს.

***– ვინ იყო ეს ადამიანი?***

– ბიძინა ივანიშვილი.

***– იმ დროს „მრეწველები“ საარჩევნო ბლოკ „ქართული ოცნებიდან“ წამოსული იყვნენ. არ გაგიჩნდათ ეჭვი, რომ მათ ივანიშვილთან ურთიერთობა აღარ ექნებოდათ?***

– მე ძალიან ბევრი კითხვა მქონდა, მაგრამ ამ ადამიანებმა ჩემი თანაპარტიელების დარწმუნება შეძლეს. „მრეწველები“ „ოცნების“ ბლოკიდან წამოსული კი იყვნენ, მაგრამ მათ ისევ ჰქონდათ ურთიერთობა.

„ჩვენი სამშობლოს“ ოფისში პირველად გოგი თოფაძე მოვიდა. ვისაუბრეთ მოახლოებულ არჩევნებზე. მან თანამშრომლობა შემოგვთავაზა. ამბობდა, რომ „მრეწველებისთვის“ საინტერესო იყო ჩვენი პროგრამა. ჩვენი პარტიის მთავარი ლოზუნგი აფხაზებთან და ოსებთან შერიგება იყო.

ცოტა ხანში კავშირზე უკვე ზურაბ ტყემალაძე გამოვიდა. ის ტელეფონით დაგვიკავშირდა. დავილაპარაკეთ და გადავწყვიტეთ საარჩევნო ბლოკის შექმნა.

რადგანაც ამ ბლოკში 2 პარტია ვიყავით, გადავწყვიტეთ, რომ საარჩევნო თანხებს შუაზე გავიყოფდით. ეს ძალიან ნორმალური ამბავი იყო, ყველა საარჩევნო ბლოკში ასე ხდება – მასში შემავალი სუბიექტები ერთობლივად დებენ თანხებს.

მე მაშინ დავუშვი შეცდომა, როცა დავთანხმდი, რომ თანხების გამოყენების უფლებასა და ანგარიშებზე წვდომას ზურაბ ტყემალაძე მიიღებდა.

***– არ დაინტერესდით, რატომ ითხოვდა ამ უფლებას? ფული თუ საერთო იყო, მარტო მას რატომ უნდა ჰქონოდა თანხების განკარგვის უფლება?***

– ტყემალაძე რამდენიმე მოწვევის პარლამენტის წევრი იყო. მას მთელი ქვეყანა იცნობს, ამის გარდა, ასაკით ჩემზე უფროსია და საეჭვო ვერაფერი შევნიშნე მის მოთხოვნაში. ამბობდა, რატომ უნდა მოვიტყუო, ერთ ბლოკში ვართ და ხომ იცით, ჩვენ გვერდით ვინც დგასო.

ახლა რომ ვფიქრობ, სერიოზული შეცდომა დავუშვი. რაღაც ეჭვები მქონდა და ბლოკის შექმნის იდეა არ მომწონდა, მაგრამ ტყემალაძემ მთელი პარტია და ჩემი ძმებიც კი დაარწმუნა ამის აუცილებლობაში. ისინი ჩემგან ითხოვდნენ, რომ „მრეწველებთან“ შეგვექმნა ბლოკი.

***– რანაირად დაარწმუნა?***

– ამის უნარი აშკარად აქვს. ხალხის მონუსხვა კარგად შეუძლია, თან, კიდევ ერთხელ ვამბობ, ბიძინა ივანიშვილის სახელით ლაპარაკობდა. ვერ წარმოვიდგენდი, რომ მის სახელს ამოეფარებოდა.

***– როცა ამტკიცებდა, რომ მათ უკან ივანიშვილი იდგა, პირადად მასთან შეხვედრა რატომ არ მოითხოვეთ?***

– როგორ არ მოვითხოვე, სულ ამას ვითხოვდი, მაგრამ შეხვედრის მოწყობაზე სულ უარს ამბობდნენ.

***– რა მიზეზით?***

– ამბობდნენ, რომ ივანიშვილს ბევრი საქმე ჰქონდა და ეს მართლაც ასე იყო. პირობას დებდნენ, რომ არჩევნები როგორც კი დამთავრდებოდა, ყოფილ პრემიერს ეგრევე შევხვდებოდით.

***– ეს შეხვედრა ალბათ არც არჩევნების შემდეგ შედგა.***

– არა, რა შეხვედრა. ჩემი ძმა საზღვარგარეთ არის და ექვსჯერ ჩამოიყვანეს თბილისში, ვითომ ბიძინას უნდა შევხვედროდით. ასეთი ტყუილებით შეგვაქმნევინეს საარჩევნო ბლოკი.

ყველაზე პირველი მაინც მე მივუხვდი, რომ გვატყუებდნენ. მიხვდნენ იმასაც, რომ ამას ასე არ დავტოვებდი და შეეცადნენ, აქეთ შეექმნათ ჩემთვის პრობლემები, რაც გამოუვიდათ კიდევაც.

არჩევნების შემდეგ რუსეთში დავბრუნდი, სადაც ბიზნესი მაქვს და იქ დამხვდა უკვე პრობლემები. თოფაძემ და ტყემალაძემ რუსეთში ჩემი გარემოცვა დაარწმუნეს, რომ სააკაშვილის კაცი ვიყავი.

ამის გამო სერიოზული პრობლემები შემექმნა. თითქმის ერთი წელი ჩამოშორებული ვიყავი ყოველგვარ აქტიურობას. ძლივს დავარწმუნე ხალხი, რომ სააკაშვილთან არაფერი მაკავშირებდა. არჩევნების წინ ჩვენ მისი ფიტული საჯაროდ დავწვით, რისი გაკეთება საქართველოში ჩვენ გარდა ვერავინ გაბედა.

გარდა იმისა, რომ რუსეთში შემიქმნეს პრობლემები, ამერიკელებთანაც ცადეს ჩემი დაპირისპირება. სულ ტყუილად მალანძღვინეს იმ ქვეყნის ელჩი.

***– ამერიკელებთან რა პრობლემები შეგექმნათ?***

– ტყემალაძე მარწმუნებდა, ამერიკელების მოთხოვნით არ გაგვატარა ცესკომ რეგისტრაციაშიო, ამბობდა, რომ აშშ-ის ელჩი პირდაპირ სთხოვდა ამას ცესკოს თავმჯდომარეს.

***– ბოლოს რეგისტრაციაში ხომ მაინც გაატარეს თქვენი ბლოკი?***

– რეგისტრაციაში მაინც გაგვატარეს, რაც ძალიან საინტერესო ამბავია და ამაზე ოდნავ მოგვიანებით. ისევ აშშ-ის ელჩის თემას დავუბრუნდები – ამ ადამიანზე ტყემალაძემ კიდევ ერთი ტყუილი თქვა. არჩევნებზე კარგი შედეგი ნამდვილად არ ვაჩვენეთ. ახლა რომ ვუკვირდები, ამაშიც „მრეწველების“ ხელი ურევია. არჩევნების მეორე დღეს ტყემალაძემ მითხრა, აშშ-ის ელჩმა ივანიშვილს პირდაპირ უთხრა, ჩიტიშვილის პარტია პარლამენტში არ უნდა მოხვდესო.

***– აშშ-ის ელჩი თქვენი წინააღმდეგი რატომ უნდა ყოფილიყო? გქონდათ რამე შეხება ამ ადამიანთან?***

– არანაირი შეხება ამ ადამიანთან არ მქონია. ერთხელ მოვაწყვეთ აშშ-ის საელჩოსთან აქცია, ისიც სააკაშვილის გამო. ტყემალაძის მტკიცებით, ელჩი ჩემი წინააღმდეგი იმიტომ იყო, რომ მე თითქოს პრორუსული ვიყავი.

მაშინაც ვამბობდი და დღესაც გავიმეორებ, რომ რუსეთი ოკუპანტია, მაგრამ ამ ქვეყანასთან აუცილებელია დიალოგი. მოსკოვთან დიალოგის გარეშე დაკარგულ ტერიტორიებს ვერ დავიბრუნებთ. არც ის ქართველები უნდა დავივიწყოთ, რომლებიც ლუკმაპურის საშოვნელად რუსეთში არიან გადახვეწილი. ეს პოზიცია მეთვლება პრორუსულობად, მაგრამ ეს სხვა საუბრის თემაა.

ისევ ამერიკელების საკითხს დავუბრუნდები და, თუ ტყემალაძე არ გაჩერდება, შეიძლება აშშ-მ ჩვენს სახელმწიფოს წაუყენოს პრეტენზიები.

„მრეწველებს“ ყველგან თავისი კუდები ჰყავთ და გაიგეს, რომ მე მათი თაღლითობის წინააღმდეგ სამართლებრივ ბრძოლას ვიწყებ. ახლა ჩემს გაჩერებას ცდილობენ. ჩემს ძმას დაურეკეს და ურჩიეს, რომ გავჩერდე, რაზეც უარს ვამბობ. ახლა მათი დავალებით სუსმა დამიწყო თვალთვალი.

***– რატომ გგონიათ, რომ სუსი გითვალთვალებთ?***

– ამ დღეებში იმ უბანში, სადაც მე ვცხოვრობ, უცხო ადამიანები და მანქანები გამოჩნდნენ. ამ უბანში სულ ამერიკელები ცხოვრობენ, ერთი მე ვარ ქართველი და აქ უცხო მანქანები არ დადიან, ყველგან კამერებია. ამ მანქანების სანომრე ნიშნები დავაფიქსირე. მეც ბევრი ნაცნობი მყავს და დავადგინე, რომ ისინი სუს-ს ეკუთვნის.

მივმართავ საქართველოს ხელისუფლებას, ქვეყანას ნუ შეუქმნით პრობლემებს. ამ მანქანებს ამერიკელებიც ხედავენ და ისინიც კარგად დაადგენენ მათ წარმომავლობას. აშშ-ის მოქალაქეებმა შესაძლოა იფიქრონ, რომ მათზე მიდის თვალთვალი. ეს საერთაშორისო სკანდალს გამოიწვევს და ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორთან უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით.

ახლა ცესკოში რეგისტრაციის ისტორიასაც გავიხსენებ. როგორც სხვა პარტიებმა და საარჩევნო ბლოკებმა, სია ცესკოში ერთი თვით ადრე მივიტანეთ. რადგან ბლოკი ვიყავით, რეგისტრაციის პროცესს ორივე პარტიის წარმომადგენელი უნდა დასწრებოდა.

„მრეწველები“ არჩევნებში გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მონაწილეობენ, მათ ცესკოში წარმომადგენელიც ჰყავთ. ისე გააკეთეს, რომ საარჩევნო სია მხოლოდ „მრეწველების“ წევრმა მიიტანა სარეგისტრაციოდ. „ჩვენი სამშობლოს“ წევრები და იურისტი ამ პროცესიდან ოსტატურად „მოტეხეს“. ცოტა ხანში გავიგეთ, რომ ცესკომ რეგისტრაციაში არ გაგვატარა. გაირკვა ისიც, რომ „მრეწველების“ წარმომადგენელმა სია დროზე არ წარადგინა.

ეს ადამიანი მრავალი წელი მუშაობდა ამ მიმართულებით და შეუძლებელი იყო, მას რამე შეშლოდა. ცესკოს წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, რომ მან საბუთების შეტანა დააგვიანა. ჩვენ ამის დაჯერება არ გვინდოდა. მოგვიანებით ეს საკითხი დეტალურად იქნა შესწავლილი და დავადგინეთ, რომ „მრეწველების“ წარმომადგენელმა მართლაც დააგვიანა.

***– გამოდის, რომ ცესკომ სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო?***

– იმ მომენტში სამართლიანად გვეთქვა რეგისტრაციაზე უარი. იმ მომენტში ჩვენ ამ აფერის შესახებ არაფერი ვიცოდით და ერთი ამბავი ავტეხეთ. სკანდალი მოაწყო ტყემალაძემაც. ამტკიცებდა, თამარ ჟვანიამ აშშ-ის დავალებით არ გაგვატარა რეგისტრაციაშიო.

ჩვენ ცესკოსთან დავიწყეთ აქცია. პარტიის რამდენიმე წევრთან ერთად შიმშილობა გამოვაცხადე. ეს აქცია ფატალური შედეგით დასრულდა – ჩვენი პარტიის წევრი, ზაზა ლაზაროვი, გარდაიცვალა. ზაზას გულის ოპერაცია ჰქონდა გადატანილი და მისთვის შიმშილობა არ შეიძლებოდა.

ამ ტრაგედიის მიუხედავად, აქცია გავაგრძელეთ. უცბად ჩემთან მოდის ზურაბ ტყემალაძე და მაჩვენებს მესიჯს, რომელიც, მისი თქმით, ივანიშვილმა გამოაგზავნა. იქ თითქოს ჩემი მისამართით ეწერა, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა.

ჩვენ ცესკოს წინააღმდეგ სარჩელი გვქონდა სასამართლოში შეტანილი. სასამართლომ ჩვენი სარჩელი დააკმაყოფილა და ცესკომ რეგისტრაციაში გაგვატარა. რანაირად მოახერხა ამის გაკეთება ტყემალაძემ, ვერ გეტყვით. არც ის ვიცი, როგორ დაითანხმა თამარ ჟვანია, რომელმაც რეგისტრაციაში არ გაგვატარა. არ გამოვრიცხავ, რომ ისიც ივანიშვილის სახელით მოატყუა.

კარგი იქნება, თუ ამის შესწავლაც მოხდება. ტყემალაძე აშკარად რუხი კარდინალი გამოდის. სხვანაირად თავის შვილს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარედ ვერ გაამწესებდა. მას ყველაფერზე ვაგებინებთ პასუხს. მას პასუხი ივანიშვილმაც უნდა მოსთხოვოს.

ტყემალაძე მირჩევს, რომ სასამართლოს მივმართო. ამას მაგის რჩევის გარეშეც გავაკეთებ, მაგრამ იმედი არა მაქვს. ამ ადამიანმა ცესკოს გადაწყვეტილებაზე რაც მოახერხა, უკვე გითხარით. არ მაქვს გარანტია, რომ ამ საქმეზეც მის სასარგებლო გადაწყვეტილებას არ გამოიტანენ.

ყველაზე კარგი იქნება ივანიშვილთან შეხვედრა. მან უნდა გაიგოს, რა სიბინძურეებს ატრიალებენ მისი სახელით.

***– დარწმუნებული ხართ, რომ „მრეწველები“ მართლა მის გარეშე მოქმედებდნენ?***

– ახლა დარწმუნებული ვარ. ჩვენს საერთო ახლობლებთან გავარკვიე, რომ მან ამის შესახებ არაფერი არ იცის. ამ თემაზე აქამდეც გავაკეთებდი განცხადებას, მაგრამ ივანიშვილის პოზიციის გარკვევა მინდოდა. ახლა ვიცი, რომ ტყემალაძემ მისი სახელით მიითვისა ნახევარი მილიონი. მას ამ ფულის დაბრუნება აუცილებლად მოუწევს.

## კვირიკაშვილის პრემიერობის პერიოდში არაერთი ეფექტური რეფორმა დაიწყო, რომელიც დღესაც გრძელდება



„ვისოლ ჯგუფის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე სოსო ფხაკაძე „კომერსანტთან“ ყოფილ პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილზე საუბრობს და იმ რეფორმებს აფასებს, რომლებიც ყოფილი პრემიერ-მინისტრის პერიოდში ამოქმედდა.

ფხაკაძის შეფასებით, კვირიკაშვილის პრემიერობა ბიზნესისთვის საკმაოდ წარმატებული იყო. კერძოდ, კვირიკაშვილის პერიოდში არაერთი ეფექტური რეფორმა დაიწყო, რომელიც დღესაც გრძელდება. ფხაკაძეს ამის მაგალითად, ესტონური მოდელით მოგების გადასახადით დაბეგვრა მოჰყავს.

– როდესაც ეს რეფორმა მუშავდებოდა, მისი განხილვა ბიზნეს ასოციაციაშიც ხდებოდა. მაშინ დარწმუნებული ვიყავით, რომ შედეგს მოიტანდა. ზუსტად 1 წლის შემდეგ როგორც ხელისუფლება, ისე ბიზნესი უნისონში საუბრობდა იმაზე, რომ ამან მხოლოდ და მხოლოდ დადებითი შედეგი მოიტანა, – აცხადებს ფხაკაძე.

შეგახსენებთ, გიორგი კვირიკაშვილი პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან 13 ივნისს გადადგა.

**ბპნ**

## ქუთაისის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მშენებლობა ჯერ არ დაწყებულა



ქუთაისის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი სტუდენტებს 2019 წლის სექტემბერში მიიღებს.

ამის შესახებ განათლების, მეცნიერებისა და კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე განათლების მინისტრობის კანდიდატმა მიხეილ ჩხენკელმა განაცხადა, თუმცა აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის მშენებლობა დღემდე არ დაწყებულა.

„ევროპული საქართველოს“ დეპუტატი გიგი წერეთელი მინისტრობის კანდიდატისგან დაინტერესდა, თუ რა ხდება ქუთაისის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროექტთან დაკავშირებით. როგორც მიხეილ ჩხენკელმა განმარტა, მიუნხენის უნივერსიტეტის ჩართულობით ქუთაისში მსოფლიო დონის უნივერსიტეტი მომავალ წელს გაიხსნება.

– ქუთაისის უნივერსიტეტში მუშაობა ინტენსიურად მიმდინარეობს. ჩვენი პროგრამის ხელმძღვანელები იმყოფებიან მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტში, სადაც ხდება უკვე პროგრამების საბოლოო ვარიანტის შეჯერება. გერმანელ პროფესორებთან ერთად. გეგმა ასეთია, რომ 2019 წლის სექტემბერში განხორციელდება სტუდენტების მიღება. ტექნიკური დარგებით დავიწყებთ, თუმცა უნივერსიტეტის პროფილი იქნება უნივერსალური. მიუნხენის უნივერსიტეტის ჩართულობით ქუთაისში მსოფლიო დონის უნივერსიტეტს მივიღებთ, – განაცხადა მიხეილ ჩხენკელმა.

გიგი წერეთელის თქმით კი გაისად ასეთი პროექტის გახსნა და სტუდენტების მიღება რთული იქნება.

– როდესაც მინისტრად დაგამტკიცებენ, ჩვენ ერთად წავიდეთ და დავათვალიეროთ იქაურობა, – აღნიშნა გიგი წერეთელმა.

მიხეილ ჩხენკელის გარდა, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე დაგეგმილია შესაბამისი მიმართულებების მინისტრობის სხვა კანდიდატების მოსმენაც.

ცნობისათვის, ქუთაისში, მუხნარის ტყის მიმდებარე ტერიტორიაზე, ქუთაისის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პრეზენტაცია 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებამდე 27 დღით ადრე გაიმართა, რომელსაც მთავრობის ხელმძღვანელი პირების გარდა, ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ბიძინა ივანიშვილი ესწრებოდა.

იმ დროისთვის სამშენებლო სამუშაოების დაწყებისა და დასრულების ვადები არ დაუკონკრეტებიათ. განაცხადეს მხოლოდ ის, რომ უნივერსიტეტმა სტუდენტთა პირველი ნაკადი 2019 წელს უნდა მიიღოს. ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში „ქართუს“ პროექტების ხელმძღვანელი, ვახტანგ ცაგარელი აცხადებდა, რომ ტერიტორიაზე სამუშაოები ივნისის ბოლოდან დაიწყებოდა.

60.000 სტუდენტზე გათვლილი უნივერსიტეტის მშენებლობისთვის 500 მილიონ ლარამდე დაიხარჯება, რომელსაც სრულად აფინანსებს ფონდი „ქართუ“.

**ბპნ**

## 13.200 პოლიციელს ხელფასი 250 ლარით გაეზრდება



შინაგან საქმეთა მინისტრობის კანდიდატ გიორგი გახარიას განცხადებით, 1-ლი ივლისიდან 13.200 პოლიციელს ხელფასი 250 ლარით გაეზრდება. გახარიას განმარტებით, ბოლო თვეებში შინაგან საქმეთა სამინისტროში 500-ზე მეტი ადმინისტრაციული პოზიცია შემცირდა, რამაც უწყებას ტექნიკური აღჭურვილობის განახლებისა და ხელფასების გაზრდის საშუალება მისცა.

პარლამენტის კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლის დროს, გიორგი გახარიამ პოლიციელებისთვის გრძელვადიანი ბინათმშენებლობის პროექტიც დააანონსა.

– ჩვენ გვესმის, რომ პოლიციელისთვის, რომელიც ზრუნავს სხვა მოქალაქის უსაფრთხოებაზე 250 ლარი დღევანდელი ხელფასიდან არ არის იდეალური, თუმცა ეს არის ის, რაც დღეს შევძელით. რა თქმა უნდა, ამას გავაგრძელებთ მომავალი წლიდანაც და ასევე ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ წელს სოციალური კომპონენტის გასაძლიერებლად დავიწყებთ ბინათმშენებლობის ახალ პროგრამას, რომელიც მოიცავს თბილისს, ბათუმს, ქუთაისს ზუგდიდს და რუსთავს. ეს იქნება ის კომპონენტი, რომელიც სოციალურ გარანტიებს გაზრდის თითოეული პოლიციელისათვის და მათ თავიანთი ცხოვრების გრძელვადიანი დაგეგმარების საშუალებას მისცემს, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

**რეგინფო**

## ზვიად ხორგუაშვილი: „სამინისტროების შემცირება სასაცილოა, თანხის 0,7% იზოგება“



– 14 სამინისტროდან 11-ზე ჩამოვალთ და 120 მლნ ლარი დაიზოგებაო. თითოეული ლარით ბიუჯეტის შემცირება კარგია; ეს შემცირება არის სასაცილო, რადგან დაახლოებით 0.7% იზოგება; სხვა ხარჯების გაზრდას აპირებენ თუ არა, არ ვიცით და რეალურად დაზოგვა ან გამოვა, ან არა; სამინისტროების გადაჯგუფებას აზრი არ აქვს, თუ მეტი ფული არ დაიზოგება; ბიუროკრატია და მთავრობის სიმცირე სამინისტროების სახელებში კი არა, მათ მიერ დახარჯულ-გაფლანგულ ფულში გამოიხატება; ოცდამეჩვიდმეტეათასედ მცდარ მოლოდინებზე არ უნდა წამოვეგოთ, – ასე ეხმაურება სამინისტროების შესაძლო ოპტიმიზაციის პროექტს ეკონომისტი ზვიად ხორგუანი.

**კომერსანტი**

## მომავალი თვიდან მეხანძრეების ხელფასები გაიზრდება



მომავალი თვიდან მეხანძრეების ხელფასები იზრდება.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერმინისტრობის კანდიდატმა მამუკა ბახტაძემ საპარლამენტო უმრავლესობის სხდომაზე განაცხადა.

– ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება და ვზრდით ჩვენი მეხანძრეების ხელფასებს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ეს არის ადამიანების ჯგუფი, რომლებიც 24 საათი დგას სადარაჯოზე. ისინი აკეთებენ ძალიან მნიშვნელოვანი რისკების პრევენციას ჩვენი ქვეყნისთვის და შესაბამისად, ჩვენ რა რესურსიც ახლა გამოძებნეთ, იმით ვაპირებთ და მათ შემდეგი თვიდან ხელფასები გაეზარდოთ, – განაცხადა ბახტაძემ.

**ბპნ**

## თბილისი-ბათუმის მატარებელში წყალს ბოთლით მხოლოდ ბიზნესკლასის მგზავრებს ურიგებენ

საქართველოს რკინიგზა თბილისი-ბათუმის ორსართულიან მატარებელში წყალს მხოლოდ ბიზნესკლასის მგზავრებს ურიგებს. „ნეტგაზეთს“ რკინიგზის პრესსამსახურში განუცხადეს, რომ გარკვეული დროის განმავლობაში, სანამ აუქციონის წესით კომპანიას შეარჩევდნენ, წყალს ბოთლით მატარებლის ყველა მგზავრს ურიგებდნენ.




მას შემდეგ, რაც კომპანია შეირჩა, რომელიც მატარებელში სხვა პროდუქტებთან ერთად წყალსაც ყიდის, რკინიგზამ ბიზნესკლასის გარდა, სხვა ვაგონში წყლის დარიგება შეწყვიტა. რკინიგზის ინფორმაციით, აუქციონის წესით გამარჯვებულ კომპანიასთან უწყებას ერთწლიანი კონტრაქტი აქვს გაფორმებული.

საქართველოს რკინიგზაში „ნეტგაზეთს“ უთხრეს, რომ თუ მატარებლის მგზავრს წყალი მოუნდა და მას ამის ყიდვის საშუალება არ ექნება, შეუძლია მიმართოს გამცილებელს, რომელიც მას წყალს დაალევინებს. თუმცა, წყალი წინასწარ ბოთლით არ დარიგდება.

რკინიგზაში განმარტავენ, რომ ბიზნესკლასის მგზავრებს ბოთლით წყლის დარიგება იმიტომ შეუნარჩუნეს, რომ ასეთი მგზავრების ბილეთი შედარებით ძვირია.

თბილისი-ბათუმი-თბილისის ორსართულიან მატარებელში წყლის დარიგების საკითხი იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ხუთსაათიანი მგზავრობის განმავლობაში მატარებელი ჩერდება მხოლოდ ურეკში. შესაბამისად, მგზავრებს არ აქვთ საშუალება, წყურვილის შემთხვევაში წყალი შედარებით იაფად შეიძინონ, ან საერთოდაც, უფასოდ დალიონ რომელიმე რკინიგზის სადგურში, სადაც, ორსართულიანი მატარებლისგან განსხვავებით, სხვა მატარებლები ჩერდებიან.

**ნეტგაზეთი**

## შესაძლოა, ადგილობრივი წარმოების რძის პროდუქტები და წამლები დღგ-სგან ნაწილობრივ გათავისუფლდეს



შესაძლოა, ქართული წარმოების რძე და რძის ნაწარმი დამატებითი ღირებულების გადასახადისგან გათავისუფლდეს. ამის შესახებ პრემიერმინისტრობის კანდიდატ მამუკა ბახტაძის სამთავრობო პროგრამაში წერია. პროგრამის მიხედვით, დღგ-სგან გათავისუფლდება ფარმაცევტული საწარმოს მიერ წარმოებული ფარმაცევტული პროდუქციის მიწოდება.

პროგრამის მიხედვით, ეს პროდუქტები დღგ-სგან ჩათვლის უფლებით თავისუფლდება. რაც გულისხმობს იმას, რომ პროდუქტის წარმოებისათვის დაკავშირებულ ხარჯებზე პირები დღგ-ს გადაიხდიან. ხოლო უკვე დამზადებულ პროდუქტის რეალიზაცია დღგ-თი არ დაიბეგრება. ანუ პროგრამის მიხედვით, ადგილობრივი წარმოების პროდუქტის გაძვირება დღგ-ს ხარჯზე არ მოხდება.

მამუკა ბახტაძის შეფასებით, დღგ-სგან ეროვნული პროდუქტის გათავისუფლება ქართულ პროდუქტს იმპორტირებული პროდუქტის მიმართ უფრო კონკურენტულ გახდის.

**ნეტგაზეთი**

## „კოკა-კოლას“ ქარხნის ტერიტორიაზე პატარა უბნის მშენებლობით უცხოელი დეველოპერები დაინტერესდნენ

წერეთლის გამზირზე მდებარე „კოკა-კოლას“ არსებული ქარხნის ტერიტორიაზე პატარა უბნის მშენებლობის საკითხი უახლოეს მომავალში გაირკვევა. ამის შესახებ „ბიზნესპრესნიუსს“ „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ დამფუძნებელმა თემურ ჭყონიამ განუცხადა. მისი თქმით, ამჟამად საკითხის დამუშავება და დეველოპერებთან მოლაპარაკება მიმდინარეობს.

„კოკა-კოლას“ არსებული ქარხნის ტერიტორიის განვითარების აუცილებლობა დღის წესრიგში მას შემდეგ დადგა, რაც ქარხნის მუხრანის ველზე გადატანა გადაწყდა.

ჭყონიას თქმით, განიხილებოდა ტერიტორიის გაყიდვაც, თუმცა მის განვითარებაზე საერთაშორისო კომპანია Cushman & Wakefield Georgia-მ პროექტირება უკვე დაასრულა და მას შემდეგ დეველოპერების მოძიება მიმდინარეობს.

მისივე თქმით, უბნის გაშენებისთვის დაახლოებით 20 მილიონი დოლარის ინვესტიცია იქნება საჭირო.

საუბარია, 27 ათასი კვადრატულ მეტრზე, სადაც უბანი შესაბამისი ინფრასტრუქტურით გაშენდება. სავარაუდოდ, აქ იქნება 3-4-ვარსკვლავიანი სასტუმრო, სავაჭრო ცენტრი, საცხოვრებელი კორპუსი და სპორტული დარბაზი.

თემურ ჭყონიას ინფორმაციით, რუმინეთიდან, ირანიდან, თურქეთიდან და საქართველოდან რამდენიმე დეველოპერული კომპანიაა



დაინტერესებული, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას რამდენიმე თვეში მიიღებენ.

– ჯერჯერობით ამ საკითხს ვამუშავებთ. სხვათა შორის, საკმაოდ რთული თემა აღმოჩნდა. ალბათ, 2 თვეში უფრო დაზუსტებით გვეცოდინება ყველა დეტალი. მოლაპარაკებები გრძელდება. თუმცა, ზოგიერთი საკითხი გარკვეულ რეგულაციებთან არ არის თანხვედრაში და ამაზე ვმუშაობთ, – აცხადებს თემურ ჭყონია „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას.

რაც შეეხება „კოკა-კოლას“ ახალ ქარხანას, მუხრანის ველზე მისი მშენებლობა უკვე დაიწყო და ის მომავალი წლის გაზაფხულზე გაიხსნება. საწარმო 18 ათას კვადრატულ მეტრზე იქნება განთავსებული და მის მშენებლობაში, სავარაუდოდ, 22 მილიონი ევროს ინვესტიცია ჩაიდება.

**ბპნ**

## რიკოთის პროექტის განხორციელება 2022 წლამდე გადავადდა



„რიკოთის პროექტის განხორციელება 2022 წლამდე გადავადდა“, – განაცხადა პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას ინფრასტრუქტურის მინისტრობის კანდიდატმა მაია ცქიტიშვილმა. მისი თქმით, პროექტის ვადები მხოლოდ რამდენიმე წლით შეიცვალა.

– რიკოთი შენდება 4 ლოტად. რიკოთის მონაკვეთის მშენებლობა 2021 წელს უნდა დასრულებულიყო და ის 2022 წლამდე გადავადდა. დანარჩენი მონაკვეთები გამზადებულია ტენდერისთვის და წელსვე იქნება გაფორმებული ხელშეკრულებები, – განაცხადა ცქიტიშვილმა.

**კომერსანტი**

# აკაკი ცომაია: „სოციალური ხარჯვა არის პოლიტიკური გზავნილი, ვიდრე ეკონომიკური რეფორმა“



ახალი მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა სოციალური იქნება და ძირითადი აქცენტები ჯანდაცვის პროექტების დაფინანსებაზე გაკეთდება. ეკონომისტების შეფასებით, სოციალურ ხარჯვაზე აქცენტის გაკეთება მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებს უკავშირდება და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე ნაკლებად მოგვცემს ეფექტს:

— ყველაფერი ერთმანეთთან კავშირშია. ამას ეკონომიკურ განცხადებას და რეფორმას ვერ დავარქმევთ. ეკონომიკაში მთავრობის მონაწილეობა ფაქტობრივად არ იცვლება. ფული ერთი მუხლიდან გადადის მეორე მუხლში, ეს არის და ეს. უმუშევართა რაოდენობა გაიზრდება და მოხდება სამინისტროების შემცირება. გამოთავისუფლებული ფული გადავა სოციალური პროექტების მიმართულებით. ჩვენ უნდა შევაფასოთ, რა სჯობს უფრო მეტი უმუშევარი ადამიანის მიღება თუ სოციალურად გაჭირვებული ადამიანების მდგომარეობის მცირედით შემსუბუქება. ამის შეფასება რთულია, — აცხადებს კომერსანტთან საუბარში ეკონომისტი აკაკი ცომაია.

ეკონომისტის შეფასებით, ეს არ არის ეფექტური გადაწყვეტილება, რადგან ამ გზავნილებით სიღარიბის დონეს ვერ შემცირდება:

— ეს არ არის გამოსავალი სიღარიბის დონის შესამცირებლად. ქვეყანაში სიღარიბეს ასეთი მეთოდებით ვერ შევამცირებთ. ეს არის უფრო პოლიტიკური გადაწყვეტილება. არჩევნების წინ ყოველთვის იზრდება სოციალურ პროექტებზე დანახარჯები — ეს არის მომგებიანი თემა. ახლაც ახლოვდება საპრეზიდენტო არჩევნები და სამიზნეც სწორედ ეს არის. ამ მიმართულებით გადასადგმელია შესაბამისი ნაბიჯები. ერთ-ერთი შემადგენელი არის ესეც.

მეორეა ის, რომ საზოგადოებაში უნდა გაიზარდოს მმართველი გუნდის პოპულარობა. მთავარი გზავნილი არის ის, რომ სიღარიბე გაიზარდა, რაც „UNSEF“ -ის კვლევით გაჟღერდა. ეს აღიარა მთავრობამ და შესაბამისად პრემიერი გადადგა. ახლა ახალი პრემიერი სიღარიბეს ასახელებს მთავარ გამოწვევად და იწყებს ამ პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლას. ეს არის პოლიტიკური გზავნილი, ვიდრე ეკონომიკური რეფორმა, — ამბობს აკაკი ცომაია.

მისი თქმით, ეს არის აპრობირებული პიარტექნოლოგია, თუმცა შეიძლება მთავრობა ფიქრობს, რომ ამ გადაწყვეტილებებით სიღარიბის პრობლემას გადაჭრის.

**კომერსანტი**

# სახელმწიფო უნდა ქმნიდეს პირობებს, რომ ბიზნესმა სამუშაო ადგილები შექმნას



ბიზნესმენი ცეზარ ჩოჩელი ქვეყნის ახალ ეკონომიკურ გუნდს ბიზნესთან მეტი კომუნიკაციისკენ მოუწოდებს. ჩოჩელი თვლის, რომ ნაკლები ბიუროკრატიითა და რეგულაციებით კერძო სექტორი ნამდვილად შეძლებს, დიდი ეფექტი მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკაზე. ეს მიზანი კი ბიზნესსა და ხელისუფლებას შორის აქტიური კომუნიკაციით მიიღწევა.

— ქვეყანაში ეკონომიკურ ამინდს ძირითადად ქმნის ბიზნესი, ამიტომ რაც მეტი კომუნიკაცია იქნება, რაც მეტი გახსნილობა და პრობლემის გათავისება იქნება სახელმწიფოს მხრიდან, მით მეტი ეფექტი ექნება ეკონომიკის განვითარებას. მე ვფიქრობ, კიდევ უფრო მეტი მუშაობაა ჩასატარებელი იმისთვის, რომ ბიზნესმა კიდევ უფრო მეტი შექმნას და მეტი შემოსავალი მოუტანოს სახელმწმფოს. დღეს სახელმწიფო არ უნდა ასაქმებდეს ადამიანებს, სახელმწიფო უნდ ქმნიდეს პირობებს, რომ ბიზნესმა რაც შეიძლება მეტი სამუშაო ადგილი შექმნას და რაც შეიძლება ნაკლები იყოს სახელმწიფო აპარატი. ეს იქნება ყველაზე დიდი ეფექტი. სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, ნაკლები რეგულაციები და ნაკლები ბიუროკრატია, ეს არის ყველა ის შემაფერხებელი პროცესი, რომელიც აფერხებს ეკონომიკის განვითარებას, — აცხადებს ცეზარ ჩოჩელი.

**კომერსანტი**

# ნიკოლოზ გაგუა: „ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმები ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდაზეა ორიენტირებული“

ფინანსთა მინისტრობის კანდიდატ ნიკოლოზ გაგუას განცხადებით, ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებულია და მიმდინარეობს ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმები საგადასახადო პოლიტიკის და საგადასახადო ადმინისტრირების სრულყოფის კუთხით, რომელიც მიზნად ისახავს ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას, მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისებას, და ორიენტირებულია ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე.

ასევე, საგადასახადო პოლიტიკა მხარს დაუჭერს ქვეყნის გარემოსდაცვით პოლიტიკას.

— მნიშვნელოვან რეფორმათა შორის, გამოვყოფდი უპრეცედენტო, მცირე ბიზნესისათვის მეგობრული, დაბეგვრის შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის შემოღებას, რაც გულისხმობს საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის შემცირებას ხუთჯერ 5%-დან 1%-მდე. ასევე დღგ-ის ავტომატური დაბრუნების რეფორმას, რომელიც კიდევ უფრო გააუმჯობესებს ბიზნესგარემოს ქვეყანაში და შექმნის დამატებული ღირებულების ადმინისტრირების სისტემას, განვითარებულ ქვეყნებში არსებული მაღალი სტანდარტის შესაბამისად, — განაცხადა ნიკოლოზ გაგუამ.



მისი თქმით, გაძლიერდება საგადასახადო ადმინისტრირების სისტემის ეფექტიანობა. დაგეგმილი რეფორმების მიზანი კი იქნება გაამარტივოს ბიზნესისათვის ადმინისტრირების ტვირთი და, ზოგადად, გააუმჯობესოს ბიზნესგარემო ქვეყანაში, ახლებური მიდგომებითა და ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით.

— და ბოლოს, მთავრობის საკვანძო მიმართულება არის მცირე მთავრობის კონცეფცია. ის სრულად არის ასახული წარმოდგენილი სამთავრობო პროგრამაში, რომლის თანაავტორიც გახლავართ. ჩვენი ხედვა ეფუძნება მცირე, მაგრამ, ამავე დროს, ეფექტიანი, ოპერატიული და მოქნილი მთავრობის კონცეფციას, რომელიც სრულად შეესაბამება და პასუხობს ქვეყნის განვითარების მიზნების წინაშე მდგარ გამოწვევებს, — აღნიშნა ფინანსთა მინისტრობის კანდიდატმა ნიკოლოზ გაგუამ.

**კომერსანტი**

# მცირე კომპანიებს მსხვილ სავაჭრო ქსელებში პროდუქცია ვერ შეაქვთ



სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივ „კონას“ გასაყიდად მცენარეული ჩაი გამოაქვს. კოოპერატივის ხელმძღვანელი ნატალია ფარცხალაძე ამბობს, რომ ადგილობრივ ბაზარზე პოზიციების გამყარება უჭირთ, რადგან მსხვილი სუპერმარკეტები საკმაოდ კაბალურ ხელშეკრულებას სთავაზობენ და რეალიზებული პროდუქციის შემდეგ თანხის ამოღება უჭირთ.

მსხვილი ქსელური სუპერმარკეტები ითხოვენ პროდუქციის დიდ პარტიას და უწყვეტ მიწოდებას. ვცადეთ ჩაის შეტანა რამდენიმე მსხვილ ქსელში, თუმცა სუპერმარკეტის ადმინისტრაციამ გამომიგზავნა ხელშეკრულება, სადაც 50 ათასი ლარის ჯარიმა ეწერა პროდუქციის არმიტანის შემთხვევაში. ჩვენ უარი ვთქვით ამ ქსელთან ურთიერთობაზე. ადგილობრივი ბაზარი პრობლემაა — საერთოდ ასე მუშაობს რითეილი, კონსიგნაციაზე. თანხების ამოღების პრობლემა აქვს მცირე ბიზნესს, რადგან დიდი ინვესტიციის და დაძინებული ფულის გარეშეა ბიზნესი წამოწყებული. სტარტაფისთვის ეს პრობლემა მწვავედ დგას, — ამბობს ნათია ფარცხალაძე. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წარმომადგენელი კომერსანტთან საუბარში აცხადებს, რომ ცდილობს, პროდუქციამ საკუთარი ნიშა ევროკავშირის ბაზარზე იპოვოს. პირველი წარმატებული გადაზიდვა ჰოლანდიის ბაზარზე უკვე განხორციელდა. კოოპერატივი კონა ადგილობრივ ბაზარზე მეორე წელია ოპერირებს. 12 ინგრედიენტით დამზადებული მცენარეული ჩაი მცირე მარკეტებში იყიდება. მალე შესაძლოა კონას პროდუქცია აგროჰაბში გამოჩნდეს.

**კომერსანტი**

# „ბიუროკრატია და მმართველობითი ორგანოები უნდა იყოს იმ ზომის, რაც აუცილებელია კონკრეტული ამოცანების გადასაწყვეტად“



პრემიერმინისტრობის კანდიდატი მამუკა ბახტაძე მთავრობის სტრუქტურული რეორგანიზაციის შედეგად 100-120 მილიონი ლარის დაზოგვას გეგმავს.

ბახტაძის თქმით, სახელმწიფო მმართველობითი აპარატის შენახვა ქვეყნის ეკონომიკას მშპ-ის 3,9%-ზე მეტი არ უნდა უჯდებოდეს.

— მსურს განმარტება გავაკეთო მცირე მთავრობის კონცეფციასთან დაკავშირებით, რათა მოსახლეობას ჰქონდეს კარგი სურათი, თუ რას ნიშნავს ეს. მცირე ზომის მთავრობა ნიშნავს ქვეყნის ეკონომიკაში მის მცირე წილს. ჩვენ ამ მიმართულებით გვქონდა პროგრესი, რომ შევამცირეთ ეს წილი, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ქვეყნის ბიუროკრატია და მმართველობითი ორგანოები უნდა იყოს იმ ზომის, რაც აუცილებელია კონკრეტული ამოცანების გადასაწყვეტად. ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს კონკრეტული ამოცანები და კონკრეტული პროგრამა. შესაბამისად, ჩვენ გვჭირდება მცირე ზომის მთავრობა, რომ გადაწყვეტილებები იქნას მიღებული ეფექტურად, ოპერატიულად და რაც მთავარია, გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან იმ დღემდე, როდესაც ჩვენი მოქალაქე იგრძნობს ამ გადაწყვეტილების შედეგად მიღებულ სერვისს ან სიკეთეს, დრო იყოს მაქსიმალურად შემცირებული. ჩვენ არცერთ ფუნქციას არ დავაკნინებთ. პირიქით, სამინისტროების შერწყმა განხორციელდება ორგანულად, ფუნქციების და ამოცანების მიხედვით.

ჩვენი მთავარი ამოცანაა, რომ ქვეყნის ეკონომიკას სახელმწიფო მმართველობითი აპარატის შენახვა არ უჯდებოდეს ძალიან ძვირი და აქედან გამომდინარე შემოგვაქვს მაქსიმალური ზღვარი — ეს არის მთლიანი შიდა პროდუქტის 3,9%, რაც თანხაში ნიშნავს, რომ იმ ეკონომიკური ზრდიდან გამომდინარე, რაც ჩვენ გვაქვს, ეს საშუალებას მოგვცემს, დაახლოებით 100-120 მილიონი ლარი გამოვათავისუფლოთ თავისუფალი რესურსის სახით და მივმართოთ იმ სოციალურ პროგრამებზე, მათ შორის განათლების მიმართულებაზე, რომელიც უფრო დიდი პრიორიტეტია, — განაცხადა ბახტაძემ.

ჩვენი პირველი იდეაა, რომ 2013 წლის 1 იანვრამდე არსებული საგადასახადო დავალიანება სრულად ჩამოვაწეროთ ყველა გადამხდელს, — განაცხადა საქართველოს პრემიერმინისტრობის კანდიდატმა მამუკა ბახტაძემ საპარლამენტო უმრავლესობის სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას.

* * *

— როცა ვსაუბრობთ უსამართლო წესებზე ეკონომიკაში, ამის ყველაზე ნათელი მაგალითი იყო 2011-2012 წლები, როდესაც ჩვენს მეწარმეებს და ქართული კომპანიების მნიშვნელოვან ნაწილს დაარიცხეს არასწორი საგადასახადო ვალდებულებები. აქედან გამომდინარე, ჩვენი პირველი ინიციატივა შეეხება იდეას, რომ სრულად ჩამოვაწეროთ საგადასახადო დავალიანება ყველა გადამხდელს 2013 წლის 1 იანვრამდე. ეს შეეხება დაახლოებით 36 ათას გადამხდელს. მათ უკან დგას ქართული ოჯახები, ენერგია და საშუალება, რომ მათ ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში სრულფასოვანი მონაწილეობა გააგრძელონ, — განაცხადა ბახტაძემ.

— ჩემს გუნდს, ვისთან ერთადაც ავიღებ პასუხისმგებლობას სამთავრობო პროგრამის შესრულებაზე, ორ კვირაში წარვადგენ, — ამის შესახებ ჟურნალისტებს პრემიერმინისტრობის კანდიდატმა მამუკა ბახტაძემ განუცხადა.

მან არ დაასახელა, რომელ მინისტრებს შეეხება საკადრო ცვლილებები, ასევე, რომელი უწყებების მიმართულებით განხორციელდება სტრუქტურული რეორგანიზაცია.

— ჩვენ პარლამენტში მოვდივართ, რათა პარლამენტს ვთხოვოთ ნდობა, რომ წარმოვადგინოთ მცირე მთავრობის კონცეფცია, ვინაიდან სწორედ მცირე მთავრობის კონცეფციის საფუძველზე შევძლებთ იმ პროგრამის რეალიზაციას, რომელიც იქნა წარმოდგენილი. მინდა ამ შემთხვევაში ყურადღება გავამახვილო პროგრამაზე და იმ გამოწვევებზე, რომელიც დღეს აქვს ჩვენს ქვეყანას. პროგრამა სწორედ ამ გამოწვევებს პასუხობს, მაგრამ იმისთვის, რომ მთავრობა იყოს ოპერატიული და ეფექტური, საჭიროა, რომ ჯერ მივიღოთ მცირე მთავრობის კონცეფცია და შედეგად დავიწყოთ წარმოდგენილი პროგრამის რეალიზაცია.

რაც შეეხება იმას, თუ ვინ იქნებიან მინისტრები მომავალში, 2-3 კვირის თავზე, ბუნებრივია, თქვენ და საზოგადოებას მე წარვუდგენ იმ გუნდს, ვისთანაც ერთად ავიღებ პასუხისმგებლობას, რომ ამ პროგრამას შევასრულებ, — განაცხადა ბახტაძემ.

**კომერსანტი**

# შპს ფოთის ნავთობგადამამუშავებელი გაკოტრებულად გამოცხადდა



შპს ფოთის ნავთობგადამამუშავებელი გაკოტრდა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, მას გადახდისუუნარობის შესახებ საქმის წარმოებაზე უარი ეთქვა.

კომპანიას დავალიანება „საქართველოს ბანკის“ მიმართ აქვს. კრედიტორის განცხადების თანახმად, შპს „ფოთის ნავთობგადამამუშავებლის“ მიმართ არსებული მოთხოვნა შეადგენს 18.717.897.41 აშშ დოლარს, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით — 46.122.771.01 ლარს.

— მოვალე თავისი ქონებით ვერ უზრუნველყოფს საპროცესო ხარჯების დაფარვას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ და მასში უთითებს, რომ მოვალე გაკოტრებულად გამოცხადდება რეგისტრაციის გაუქმების გზით, თუ ამ განჩინების გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში კრედიტორმა იმავე მოვალის მიმართ არ შეიტანა სასამართლოში გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება.

სადავო არაა ფაქტი იმის შესახებ, რომ სასამართლოს 2018 წლის 11 იანვრის განჩინებით მოვალეს უარი ეთქვა გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებაზე, რასაც საფუძვლად დაედო მოვალის მიერ მითითებული ფაქტები და წარმოდგენილი მტკიცებულებები, რაც მოვალის გადახდისუუნარობას ადასტურებდა, ანუ მოვალეს არ გააჩნდა რამე სახის ქონება, რითაც შესაძლებელი იქნებოდა, კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საპროცესო ხარჯების დაფარვა უზრუნველყოფილიყო, — ნათქვამია სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

**კომერსანტი**

## კლუბური ნარკოტიკის მორიგი მსხვერპლი

ალადაშვილის კლინიკაში შეყვანილი ძმებიდან ერთ-ერთი გარდაიცვალა

ალადაშვილის სახელობის კლინიკაში მამაკაცის გარდაცვალებასთან დაკავშირებით შსს-მ გამოძიება 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

როგორც „ნიუპოსტს“ შს სამინისტროში განუცხადეს, გარდაცვლილს ძალადობის ნიშნები არ აღენიშნება.

ადვოკატ ლალი აფციაურის ინფორმაციით, ალადაშვილის კლინიკაში კლუბური ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ორი ძმა შეიყვანეს, რომელთაგან ერთი გარდაიცვალა.

— მე კლინიკაში ვარ. ჩემი მეგობრის სანახავად მოვედი. ცოტა ხნის წინ ატყდა კივილი. რომ ვიკითხე, ექიმებმა მითხრეს, რომ ორი ძმა არის შემოყვანილი ნარკო-კომით. ერთს გული ვერ აუმუშავეს და გარდაიცვალა, მეორე მძიმედაა, — განაცხადა აფციაურმა.

## შსს-მ ნიკა გვარამიას წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო

### „გაცოფებული სპილოსი არ მეშინია!“



შინაგან საქმეთა სამინისტრომ რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიას წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო. ამის შესახებ გვარამია სოციალურ ქსელში წერს.

„შსს გამოძიება დაუწყია ჩემ მიერ სუსის პროვოკატორ მთვარისა ნავერიანის ცემის ფაქტზე და მევე მთხოვს ვიდეოჩანაწერებს.

მე კი მოგცემთ ჩანაწერებს, მარა მოქალაქეს თუ ვცემდი და დანაშაულს ჩავდიოდი, იქვე 200 პოლიციელი რომ იდგა და 20 პატრულის ეკიპაჟი თავის სამხრეებით, რას შვრებოდნენ?

და 500-ზე მეტი მოწმე და ყველა ტელევიზია? ერთი კადრი მაინც არსებობს „ცემის“ ან ერთი მოწმე?

სამხარაულის ექსპერტიზის ცნობაც ჰქონიათ და მაგ აგენტ-პროვოკატორი ჩემამდე ან მერე თუ „აცემინეთ“ ვინმეს, არ ვიცი და ცალკე სამხარაულის ექსპერტიზას რომ ნდობა აქვს, მაგაზე მაღალი ამინდის პროგნოზს აქვს, თქვე უბედურებო.

კერეთ, კერეთ საქმეები. ბოლოს ვინ აღმოჩნდება გისოსებს მიღმა, მაგასაც ვნახავთ. 126-ე მუხლის პირველი ნაწილის კი არა, გაცოფებული სპილოსი არ მეშინია, თქვე უდღეურებო“, — წერს გვარამია.

## „ბახალა“ სააპელაციო სასამართლომ პატიმრობაში დატოვა

სააპელაციო სასამართლომ გიორგი გიორგანაშვილის (ბახალა) საქმეზე ძალაში დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, გიორგანაშვილს რვა წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი.



დაცვის მხარე თბილისის საქალაქო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გამამართლებელი განაჩენით შეცვლას ითხოვდა.

გიორგი გიორგანაშვილმა სასამართლო სხდომა, სადაც მხარეებმა დასკვნითი სიტყვები წარმოთქვეს, პროტესტის ნიშნად დატოვა.

## „შოკში ვარ, გარდაცვლილი ყოფილი ფეხბურთელია“

### საბა კვერკველიას ბინაში რომეო კოპალიანის ცხედარი იპოვეს



„ლოკომოტივის“ ქართველი მცველის საბა კვერკველიას ბინაში ახალგაზრდა მამაკაცის ცხედარი იპოვეს.

გარდაცვლილი რომეო კოპალიანია, რომელიც რუსეთში მსოფლიო ჩემპიონატზე იმყოფებოდა. მას თან ჰქონდა გულშემატკივრის ბილეთი.

რუსული პრესის ცნობით, მას აეროპორტში სოლომონ კვირკველიას მეგობრები დახვდნენ. კოპალიანის გარდაცვალების სავარაუდო მიზეზი დიდი ოდენობით ნარკოტიკების მიღებაა, რადგან ადგილზე შპრიცები აღმოაჩინეს.

რაც შეეხება თავად საბა კვერკველიას, შემთხვევის დროს ის რუსეთში არ იმყოფებოდა.

მედიამ კვერკველიას კომენტარი გაავრცელა, რომელიც მომხდარით გაოგნებულია.

— ამ სახლში 6 თვეა, აღარ ვცხოვრობ, არც კი ვყოფილვარ იქ. გარდაცვლილი ჩემი მეგობარი არ არის. ის ყოფილი ფეხბურთელია. ვისაც ბინა გადავეცი, გარდაცვლილის მეგობარია. მე თვითონ ახლა საქართველოში ვარ, სახლში, მომხდარი საინფორმაციოდან გავიგე და შოკირებული ვარ, — განაცხადა კვერკველიამ.

კოპალიანთან ერთად „ლოკომოტივის“ მცველთან სტუმრად ასევე იმყოფებოდა კიდევ ერთი გულშემატკივარი, თუმცა სამართალდამცავებს ის ადგილზე არ დახვდათ.

კვერკველიას მეგობრის გვამი კუტუზოვის ქუჩაზე მდებარე ბინაში მეზობელმა აღმოაჩინა.

## ოჩამჩირეში ძმამ და ციხიდან გამოიყვანა და მოკლა

ოკუპირებულ აფხაზეთში, ოჩამჩირის რაიონში, ძმამ და მოკლა.

მოკლული ქალი 4 შვილის დედაა, უმცროსი ჯერ კიდევ ჩვილია. მკვლელობა 9 ივნისს მოხდა, თუმცა ე.წ. სამართალდამცავი უწყებების ოფიციალურ საიტზე ინფორმაცია არ გაჟღერებულა და მხოლოდ სოციალურ ქსელში გავრცელდა.

ეხო კავკაზას ინფორმაციით, მოკლულ ქალს 8-წლიანი პატიმრობა ჰქონდა მისჯილი თავისი ქმრის ოჯახიდან ფულის მოპარვის გამო. განაჩენის გამოტანისას სასამართლომ გაითვალისწინა, რომ მას 4 შვილი ჰყავდა, მათ შორის ჩვილიც და განაჩენის აღსრულება მანამდე გადაწია, ვიდრე უმცროსი შვილი 14 წლის ასაკს არ მიაღწევდა.

დაკავების იზოლატორიდან ახალგაზრდა ქალი მისმა ძმამ წაიყვანა, მომდევნო დღეს კი პისტოლეტით მოკლა, შემდეგ სამართალდამცავებს ჩაჰბარდა და ბრალი აღიარა.

ამ დროისთვის ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მამაკაცი წინასწარ პატიმრობაშია.

ერთი წლის წინ რობერტ ჯღამაზიამ თავისი 23 წლის გოგო ანჟელიკა ჯღამაზია მოკლა. რობერტ ჯღამაზიას ნათესავები მაშინ აცხადებდნენ, რომ შვილის მკვლელობისკენ რობერტ ჯღამაზიას პარლამენტის დეპუტატმა ალმას ჯაპუამ უბიძგა, რომელმაც ჯღამაზიას შვილების „პატიოსნება ეჭვქვეშ დააყენა“.

რობერტ ჯღამაზია გაასამართლეს და 11-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

მიმდინარე წლის 12 მარტს ვიქტორ ჯანბამ ავტომატით ჩაცხრილა თავისი მცირეწლოვანი შვილის დედა გულგაზ მამედოვა. ქალი ადგილზე დაიღუპა. ჯანბას წინააღმდეგ საქმეა აღძრული და მიმდინარეობს გამოძიება.

ოჩამჩირეში მომხდარ მკვლელობას სოციალურ ქსელში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. აფხაზი ფეისბუკმომხმარებელი ომარ კაპბა წერს, რომ „ღირსების მკვლელობები“ ქალების წინააღმდეგ შურისძიების იარაღად იქცა:




„ღირსების მკვლელობა“ გახდა მშვენიერი ალიბი იმისთვის, რომ შური იძიონ ან უბრალოდ თავიდან მოიშორონ არასასურველი ქალი. ამ მხეცურ მკვლელობებს ჩადიან მამები და ძმები, რომლებიც გამოქვაბულის დროინდელი წარმოდგენების ან ვიღაც დაინტერესებული პირების გავლენის ქვეშ არიან“, — აცხადებს ომარ კაპბა და აფხაზეთში ადამიანის უფლებების დარღვევაზე ამახვილებს ყურადღებას.

**ნიუპოსტი**

## პატიმრები სასამართლო სხდომებში მონაწილეობას ციხიდანაც მიიღებენ

პენიტენციარულ დაწესებულებებში სპეციალური აღჭურვილობები დამონტაჟდება, რომლის გამოყენებით, ვიდეოკონფერენციის საშუალებით სასამართლო სხდომები ჩატარდება.

ახალი ინიციატივის შესახებ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრობის კანდიდატმა კახა კახიშვილმა პარლამენტში რამდენიმე კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე განაცხადა.

კახიშვილის ინფორმაციით, ვიდეოკონფერენციის გზით სასამართლო პროცესების ჩატარება მხოლოდ ადმინისტრაციულ საქმეებს შეეხება. კახა კახიშვილის თქმით, გაზრდილია სასამართლოში გამსვლელთა პატიმრების რიცხვი იმ ფონზე, როდესაც სამინისტროს საბადრაგო სამსახურის რიცხვი არ გაუზრდია.

— ჩვენ მივეცით საშუალება მსჯავრდებულებს გაასაჩივრონ დირექტორის ან რომელიმე თანამდებობის პირის გადაწყვეტილებები, რაც მანამდე იყო შეუძლებელი. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი გადაწყვეტილება, იქნება ეს პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებაზე უარის თქმა, კანონით დადგენილი დასჯა თუ ა.შ., შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში, რამაც, რა თქმა უნდა, განაპირობა სასამართლო სხდომების ზრდა. მაგრამ, ამავდროულად, არ მომხდარა ბადრაგირების სამსახურის რაოდენობის ზრდა.

შესაბამისად, დავდექით რთული ამოცანის წინაშე. გარდა ამისა, გაიზარდა იმ ბრალდებულების რიცხვი, ვისი გადაყვანაც ხდება საავადმყოფოებში, რაც ასევე ბადრაგირებას საჭიროებს. აქედან გამომდინარე, ამერიკის შეერთებული შტატების ხელშეწყობით, ჩვენ უკვე ვნერგავთ ვიდეო სასამართლო სისტემას და რამდენიმე დაწესებულება უკვე აღვჭურვეთ, როდესაც სასამართლო სხდომის დარბაზი იქნება გაკეთებული ციხეში და მხოლოდ ადმინისტრაციულ საქმეებზე შესაძლებელი იქნება ვიდეოკონფერენციის გზით, სასამართლო პროცესის ჩატარება და ამით ჩვენ დავზოგავთ რესურსს, — განაცხადა კახა კახიშვილმა.

## საკუთარ კაბინეტში აფეთქებული ზვიად ლაგვილავას ოჯახი სუს-ს ფარულ თვალთვალში ადანაშაულებს

საკუთარ კაბინეტში აფეთქებული სუს-ის აფხაზეთის მიმართულების ხელმძღვანელის, ზვიად ლაგვილავას ოჯახი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს ფარულ მიყურადებასა და თვალთვალში ადანაშაულებს.



ზვიად ლაგვილავას დედის მტკიცებით, ვახტანგ გომელაურსა და მის თანამშრომლებს გარდაცვლილის ოჯახის დაშინება სურთ.

ზვიად ლაგვილავას ოჯახის ინფორმაციით, სუს-ის აფხაზეთის მიმართულების ხელმძღვანელი შურისძიების მიზნით მოკლეს.

მკვლელობის შემკვეთად ოჯახი სუს-ის მაღალჩინოსნებს ასახელებს და ამ დანაშაულში სამეგრელოს მოქმედი გუბერნატორის ლევან შონიას კვალს ხედავს.

ზვიად ლაგვილავას ექსპერტიზის დასკვნაში ოჯახმა ბევრი უზუსტობა აღმოაჩინა, მათ შორის, ცხედრის ექსპერტიზაზე გადასვენების დრო არასწორად არის მითითებული.

გამოძიების ოფიციალური ვერსიით, ზვიად ლაგვილავა უბედური შემთხვევის შედეგად შენობის ჩამონგრევას ემსხვერპლა, თუმცა ოჯახი დარწმუნებულია, რომ ზვიად ლაგვილავა ჯერ მოკლეს, შემდეგ უბედური შემთხვევის ინსცენირება მოახდინეს.

ოჯახს მომხდარის შემდეგ ხელში კიდევ ერთი მტკიცებულება ჩაუვარდა, შენობის აფეთქებამდე, სადაც ლაგვილავას ცხედარი იპოვეს, მის ოთახში უცხო პირი გადაადგილდებოდა. 16-საათიან მასალაში ჩანს, რომ უცხო პიროვნება კაბინეტში საეჭვოდ იქცევა.

ზვიად ლაგვილავა ზუგდიდის უსაფრთხოების სააგენტოს მეორე სამმართველოს შენობაში საკუთარ სამუშაო კაბინეტში 2014 წლის ოქტომბერში აფეთქდა. პირველივე ვერსია უბედური შემთხვევა და წყლის ავზის გაუმართაობა იყო. განცხადება ამის შესახებ იმავე ღამეს გამოძიების დაწყებამდე ადგილზე ჩასულმა მაშინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ვახტანგ გომელაურმა გააკეთა.

მომხდარიდან 4 წლის შემდეგ კი გარდაცვლილის ოჯახი სამართალსა და რეალური დამნაშავის დასჯას ითხოვს.

## ზუგდიდში ვალების გამო ძმამ და დაჭრა



ზუგდიდში, ბოტანიკური ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე, ძმამ და დაჭრა. შემთხვევა პოლიციის სამმართველოს სიახლოვეს მოხდა.

პოლიციამ ბრალდებული მაშინ დააკავა, როცა ის მიმალვას ცდილობდა. არსებული ინფორმაციით, კონფლიქტის მიზეზი დის ვალები გახდა.

შსს-ში ადასტურებენ დის დაჭრაში ბრალდებულის დაკავების ფაქტს. „ლაივპრესს“ უწყებაში განუცხადეს, რომ გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 პრიმა 117-ე მუხლით, რაც ოჯახური ძალადობის შედეგად ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს. ბრალდებულს დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში პირს სამიდან ექვს წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

# გერმანიაში მმართველი კოალიცია იშლება?!

## მერკელი ზეეჰოფერის წინააღმდეგ

გერმანიაში პოლიტიკური კრიზისის კონტურები გამოიკვეთა. ამის მიზეზია კანცლერ მერკელისა და შინაგან საქმეთა მინისტრ ზეეჰოფერის დაპირისპირება. მერკელი ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის ლიდერია, ზეეჰოფერი კი – ქრისტიან-სოციალისტური კავშირის წარმომადგენელი. ეს ორი პარტია მმართველ კოალიციაში უმთავრეს როლს თამაშობს. შესაბამისად, კანცლერსა და შს მინისტრს შორის დაპირისპირებაც თავად კოალიციის არსებობას უქმნის საფრთხეს. თუკი ზეეჰოფერი გადადგება, ეს ქრისტიან-სოციალისტური პარტიის სხვა მინისტრების გადადგომასაც გამოიწვევს. შესაბამისად, მმართველ კოალიციასაც ბოლო მოეღება.

მერკელისა და ზეეჰოფერის დაპირისპირება მიგრანტთა საკითხისადმი განსხვავებულმა მიდგომამ განაპირობა. ზეეჰოფერი მიიჩნევს, რომ გერმანიის ტერიტორიაზე არ უნდა შემოუშვან ის მიგრანტები, ვისაც საბუთები არ აქვთ, ან ევროკავშირის სხვა ქვეყანაში არიან რეგისტრირებულნი. მერკელი ამას არ ეთანხმება. კანცლერმა განაცხადა, რომ ამგვარი პოზიცია ევროპრინციპებს ეწინააღმდეგება. მაშინ ზეეჰოფერი დაიმუქრა, რომ საზღვრები შსს-ს კომპეტენციაშია და ის, როგორც მინისტრი, განკარგულებას გასცემს, რომ საზღვარზე კონტროლი გამკაცრდეს.

– ასეთი საკითხები კანცლერის კომპეტენციაა! მინისტრი, რომელიც თავს უფლებას მისცემს სეპარატისტულად იმოქმედოს, თანამდებობაზე ვერ დარჩება! – თქვა მერკელმა.




ჟურნალისტებთან საუბარში კანცლერმა აღნიშნა, რომ ზეეჰოფერი უკვე 69 წლის შესრულდა და, შესაბამისად, საპენსიო ასაკისაა. ჟურნალისტის შეკითხვას, რა მოხდება, თუ ზეეჰოფერთან ერთად პოსტებს ქრისტიან-სოციალისტური კავშირის წევრი სხვა მინისტრებიც დატოვებენ, კანცლერმა არ უპასუხა.

მერკელსა და ზეეჰოფერს შორის ერთგვარი შეთანხმების მიღწევა მოხერხდა. შს მინისტრმა განაცხადა, რომ ცალმხრივი გადაწყვეტილების მიღებისგან თავს შეიკავებს. თავის მხრივ მერკელი შეჰპირდა, რომ მიგრანტების თაობაზე თავის საბოლოო პოზიციას ევროკავშირის ქვეყნების სამიტის შემდეგ ჩამოაყალიბებს.

ამრიგად, საკითხი გადაიდო.



# აშშ-სა და სამხრეთ კორეის სამხედრო სწავლებები აღარ გაიმართება?

როგორც ცნობილია, პრეზიდენტმა ტრამპმა განაცხადა, რომ აშშ-სამხრეთ კორეის ერთობლივი სამხედრო წვრთნები უნდა შეჩერდეს. პრეზიდენტის აზრით, წვრთნები ძალზე ძვირადღირებულია. კიმ ჩენ ინთან შეთანხმების შემდეგ კი მათი ჩატარება არამიზანშეწონილია.

პენტაგონში დაადასტურეს, რომ შეჩერებულია აგვისტოში დაგეგმილი აშშ-სამხრეთ კორეის წვრთნების მომზადების პროცედურა.

# ჩხუბი უკრაინის პარლამენტთან — 10 ადამიანი დაშავდა

გუშინ, 19 მაისს, უკრაინის პარლამენტის შენობასთან მომიტინგეებსა და პოლიციას შორის ჩხუბის შედეგად 10 ადამიანი დაშავდა.

დაშავებულებს შორის 8 პოლიციელია.

ამის შესახებ კიევის პოლიციის უფროსმა ანდრეი კრიშჩენკომ განაცხადა.

ავღანეთის ომის ვეტერანებმა გუშინ გრუშევსკის ქუჩა გადაკეტეს და ხელისუფლებას სოციალური მოთხოვნები წაუყენეს.

მომიტინგეებთან გამოვიდა პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი ირინა გერაშჩენკო და მათ საინიციატივო ჯგუფის შექმნა და მოლაპარაკებების დაწყება შესთავაზა.






# იტალიაში მაფიოზური დაჯგუფების 58 წევრი დააკავეს

იტალიელმა სამართალდამცველებმა ესპანელ კოლეგებთან ერთად რომის ერთ-ერთ გარეუბანში მაფიოზური დაჯგუფების 58 წევრი დააკავეს. ამის შესახებ რომის პოლიცია იუწყება.

ესპანეთისა და იტალიის პოლიციური უწყებების ერთობლივი სპეცოპერაცია რომის გარდა სარდინიაზე, მოლიზესა და პიემონტის რეგიონებში და ესპანეთის ტერიტორიაზეც ჩატარდა.

პოლიციის ინფორმაციით, მაფიოზური დაჯგუფება მონტესპაკატოს რაიონს აკონტროლებდა და გამოძალვით, ნარკოტიკებით ვაჭრობით და ფულის გათეთრებით იყო დაკავებული.

დაკავებულებს ასევე ბრალი ადამიანის გატაცებაში, იარაღის ტარებასა და თაღლითობაში ედებათ.

# სახელმწიფო დეპარტამენტი ოლეგ სენცოვის გათავისუფლებას მოითხოვს




აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა უკრაინელი რეჟისორის ოლეგ სენცოვის დაუყოვნებლივ გათავისუფლება მოითხოვა.

სენცოვი შეთითხნილი ბრალდებით რუსეთის ციხეში იმყოფება. მას ტერორისტობას აბრალებენ.

– დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდნენ სენცოვი, კნიხი, შუმილოვი და სხვა უკრაინელი პატიმრები, – განაცხადა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ჰიზერ ნოიერტმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა

მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე.
მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166.**
**მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

### სხვადასხვა

● დიდი გამოცდილების მქონე შპს მოგიგვარებთ ქვეწარმავლების, მღრღნელების, მწერების პრობლემას, ჩაგიტარებთ სადეზინფექციო სამუშაოებს. ტელ: 551-54-84-54; 599-74-04-51.

● შევიძენ ნახატ სურათებს, წიგნებს, ძველ ნივთებს. ტელ: 598-43-98-57.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალი ნანა პაიჭაძე საგვარეულო მალამოთი ეფექტურად მკურნალობს: რადიკულიტს, ოსტეოქონდროზს, კისრის, მუხლსახსრების ართროზს, დისკოზს, ნერვის ანთებას, ტერფისა და ქუსლების ტკივილს, ურთულეს დაავადებას ჰაიმორიტს. მის პაციენტთა შორის იყვნენ ცნობილი ადამიანები – აკადემიკოსი ანზორ შავგულიძე, მსახიობი ჯემალ ღაღანიძე, ტელეწამყვანი გიორგი გოგიჩაიშვილი და მრავალი სხვა. მის: თევდორე მღვდლის ქუჩა №48. ტელ: 593-00-08-26; 599-54-64-81.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების", მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი".

● პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი".

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი".

● ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება – კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი".

# ქუთაისის ტორპედო ურთიერთობას შერიფთან გაარკვევს



გაიმართა უეფას ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა და გაირკვა ქუთაისის ტორპედოს მეტოქე.

რიონისპირულ კლუბს მეტოქედ ტირასპოლი შერიფი ერგო. მოლდოვური კლუბი ევროტურნირების ხშირი მონაწილეა და ქართულ კლუბთანაც ფავორიტად ითვლება.

პირველი მატჩი 10-11 ივლისს გაიმართება, ხოლო საპასუხო 17-18 ივლისს. ტორპედო პირველ შეხვედრას შინ გამართავს.

ტორპედოს მთავარმა მწვრთნელმა, კახა ჩხეტიანმა, შანსებზე და მომავალ მეტოქეზე ისაუბრა.

**კახა ჩხეტიანი:**

– ხუთი შესაძლო მეტოქიდან ყველაზე სასურველი უელსური ნიუ საინთსი იქნებოდა. თუმცა, ყარაბაღსა და ვიდეოტონს ნამდვილად გვერჩივნა შერიფი. ამით იმის თქმა არ მინდა, რომ შერიფი სუსტი გუნდია. მოლდოველებმა გასულ წელს ევროპა ლიგაზე ითამაშეს და ჯგუფში 9 ქულა დააგროვეს. ამ ეტაპზე რაც ვიცით, გუნდში 15 ლეგიონერი ჰყავთ, საკუთარ ჩემპიონატში პირველ ადგილზე არიან. ცხადია, რთული მეტოქეა... ყველაფერი 2 მატჩის ჯამში წყდება. პირველი თამაში ქუთაისში გვაქვს და იქ ნაჩვენები შედეგი მნიშვნელოვანი იქნება. ევროტურნირებზე მხოლოდ ქუთაისს არ წარვადგენთ, იქ ქვეყნის სახე ვართ და ვალდებულები, ჩვენს თამაშში ქართული გული და სული იგრძნობოდეს. ყველამ ჩვენი მაქსიმუმი უნდა გავიღოთ, რომ ეს ბარიერი გადავლახოთ. ცხადია, გუნდის გაძლიერება იგეგმება. ეს აუცილებელიც არის და ფეხბურთელებს რამდენიმე პოზიციაზე დავიმატებთ. მატჩამდე მცირე დროა, რთულია ამ პერიოდში სასწაულის ჩამდენი ფეხბურთელები მოვიწვიოთ, მაგრამ არის პოზიციები, სადაც გაძლიერება აუცილებელია და ვეცდებით ამას. რა თქმა უნდა, იმ ფეხბურთელების დიდი იმედიც მაქვს, ვინც გუნდში არიან.

მომავალ მატჩთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა შერიფის მთავარმა მწვრთნელმა, **გორან საბლიჩმაც:**

– მინდა ვთქვა, რომ წილისყრის შედეგით კმაყოფილი ვარ. ყველა მეტოქე სერიოზულია და არც ტორპედოა გამონაკლისი. მიზანი ამ ეტაპის გადალახვაა და საამისოდ, ყველა პირობა გვაქვს. ფეხბურთელობისას არასოდეს მითამაშია ქუთაისის ტორპედოსთან, თუმცა, ვიცი, რომ ქართველებს შემტევი ფეხბურთი უყვართ. ჩვენს მეტოქეს პატივი უნდა ვცეთ, დაუფასებლობა არ უნდა „დაგვემართოს". ჩვენთვის პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს, სად ვითამაშებთ პირველ მატჩს. მთავარია, კარგად მოვემზადოთ და ორივე მატჩში ჩვენი მაქსიმუმი გავიღოთ.

# ჩიხურამ ტორპედოს მოუგო და პოზიცია გაიმყარა




**ჩიხურა-ტორპედო 1:0**

**ივანწმინდა. ცენტრალური**

**1:0 გაბედავა (40)**

**ჩიხურა**: ჰამზიჩი, ჩიტეიშვილი, მირცხულავა, მაისაშვილი, გაბედავა, კახაბრიშვილი (ლექვთაძე 56), ბულრიძე (ცხადაძე 88), კაკუბავა, ჩიკვაიძე, მეგრელიშვილი, დობროვოლსკი

**ტორპედო**: კვასხვაძე, ტაბატაძე, ჭიჭინაძე, მამასახლისი (სარდალიშვილი 46), კაპანაძე (ბოხაშვილი 29), კუხიანიძე (წიქარიძე 83), გურული, კუტალია, დოლიძე, ქიმაძე, გიგაური

ეროვნული ლიგის მე-15 ტურის ბოლო მატჩში საჩხერის ჩიხურამ ივანწმინდაში, ქუთაისის ტორპედოს უმასპინძლა და გასული წლის ჩემპიონი მიმდინარე სეზონში მეორედ დაამარცხა – 1:0.

შეხვედრის ერთადერთი გოლი მე-40 წუთზე გავიდა. ირაკლი ბულრიძემ შესანიშნავი გადაცემით დასარტყმელ პოზიციაზე ჩემპიონატის ბომბარდირი, გიორგი გაბედავა გაიყვანა და ამ უკანასკნელმაც უძლიერესი დარტყმით შეარხია როინ კვასხვაძის კარის ბადე.

საერთოდ, პირველი ტაიმი საინტერესო გამოდგა და მომენტები ორივე გუნდს ბლომად ჰქონდა, მაგრამ ვერ გამოიყენეს.

მეორე ტაიმში კი, ფეხბურთს წვიმა დაერთო, რამაც მოედნის გრუნტი დაამძიმა. ალაგ-ალაგ გუბეებიც გაჩნდა, რამაც ფეხბურთის თამაში გააძნელა და საინტერესოც არაფერი მომხდარა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საბურთალო | 15 | 11 | 1 | 3 | 29-12 | 34 |
| 2.დილა | 15 | 8 | 6 | 1 | 31-15 | 30 |
| 3.დინამო | 15 | 9 | 2 | 4 | 25-13 | 29 |
| 4.ჩიხურა | 15 | 7 | 4 | 4 | 23-15 | 25 |
| 5.ტორპედო | 15 | 6 | 3 | 6 | 20-15 | 21 |
| 6.რუსთავი | 15 | 4 | 4 | 7 | 13-19 | 16 |
| 7.ლოკომოტივი | 15 | 4 | 3 | 8 | 15-25 | 15 |
| 8.კოლხეთი | 15 | 3 | 5 | 7 | 15-32 | 14 |
| 9.სიონი | 15 | 3 | 4 | 8 | 13-25 | 13 |
| 10.სამტრედია | 15 | 1 | 6 | 8 | 9-22 | 9 |



# საქართველო ემზადება, სერბეთი დანაკლისით ჩამოდის



საქართველოს ეროვნული ნაკრები მსოფლიოს 2019 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩებისთვის ემზადება. ილიას ზუროსის გაწვრთნილ ჩვენს ნაკრებს პირველი ჯგუფური ეტაპის ბოლო 2 საშინაო მატჩი დარჩა გასამართი: 29 ივნისს სერბეთთან და 2 ივლისს – ავსტრიასთან.

ზუროსმა ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში 22 კალათბურთელი შეიყვანა. 11 ივნისიდან ნაკრები დინამოს ბაზაზე 16 კალათბურთელით ვარჯიშობდა, გუშინ კი გუნდს ლეგიონერები – გიორგი შერმადინი და გოგა ბითაძე შეუერთდნენ. ზუროსმა ნოდარ გოგოძე და რევაზ როგავა რეზერვისტთა შორის გადაიყვანა.

საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩებისთვის მოსამზადებლად 2 საკონტროლო შეხვედრას ჩეხეთის ნაკრებთან 22 და 23 ივნისს – პრაღაში გამართავს. პირველ შეხვედრას ჩეხეთის ცენტრალური ტელევიზია უჩვენებს, ხოლო მეორე მატჩი დახურული ხასიათის იქნება.

ჩეხეთთან დაგეგმილ მატჩებს ილიას ზუროსი ძირითადად ახალგაზრდებისა და ახალი ამერიკელი კალათბურთელის – თად მაკფადენის გამოსაცდელად, გუნდთან მათ შესათამაშებლად გამოიყენებს.

25 ივნისს თბილისში დაბრუნებულ საქართველოს ნაკრებს კიდევ 2 ლეგიონერი – თორნიკე შენგელია და მანუჩარ მარკოიშვილი შეუერთდებიან.

ვარჯიშის დასრულების შემდეგ ნაკრების მწვრთნელ-კალათბურთელებმა ჟურნალისტებთან ისაუბრეს.

**ილიას ზუროსი:**

– დიდი ხანი არაა, რაც გუნდი ერთად ვარჯიშობს. აქამდეც ვამბობდი, რომ მსოფლიოს თასის შესარჩევი ეტაპის ახალი სისტემა ძალიან ართულებს საქმეს, არ გვაქვს დრო სრულყოფილად სამუშაოდ. სასიამოვნოა, რომ გუნდში ბევრი ახალგაზრდაა. ისინი ნაკრებს ნელ-ნელა უშინაურდებიან და ჩეხეთთან მატჩებში კარგი შანსი გვექნება მათი გამოცდის. ახალგაზრდების გარდა გვყავს ახალი ნატურალიზებული ამერიკელი – თად მაკფადენი, რომლისთვისაც სასარგებლო უნდა იყოს ჩეხეთთან შეხვედრები. სწორედ პრაღაში უნდა გადადგას პირველი ნაბიჯები გუნდთან ადაპტაციის საქმეში. ჩეხეთთან ვერ ითამაშებენ მანუჩარ მარკოიშვილი და თორნიკე შენგელია. ისინი გუნდს ჯერ ვერ შემოუერთდნენ. თუმცა მათ უკვე იციან ჩემი სისტემა და დიდი იმედი მაქვს სერბეთთან და ავსტრიასთან მატჩებში. გვყავს ახალგაზრდა სანდრო მამუკელაშვილი. იგი დიდი პოტენციალის მქონე ახალგაზრდაა, სჭირდება ბევრი მუშაობა, უნდა კარგად შეისწავლოს, როგორ ვთამაშობთ, რას ვითხოვ. მინდა ისიც აღვნიშნო, რომ თითოეული კალათბურთელი მონდომებულია, ბევრს ვარჯიშობს. მათი საქმისადმი მიდგომით კმაყოფილი ვარ. თუმცა გვჭირდება დრო შესათამაშებლად. ალბათ, გესმით, რასაც ვგულისხმობ: როდესაც მანუჩარ მარკოიშვილი და თორნიკე შენგელია ჩამოვლენ, მოუწევთ რამდენიმე ისეთი კალათბურთელის გვერდით დადგომა, რომლებთანაც მანამდე არ უთამაშიათ. ახალ ამერიკელზე, თადეუშ მაკფადენზე ვერაფერს ვიტყვი. მხოლოდ ვხედავ, რომ ვარჯიშებზე ბოლომდე იხარჯება, არ გვინახავს მისი თამაში საქართველოს ნაკრებში. ჩეხეთთან მატჩებისას კი მასაც ექნება გუნდთან შეთამაშების საშუალება და უკეთ დავინახავთ, ოფიციალურ მატჩებში რას უნდა ველოდეთ მაკფადენისგან.

**თად მაკფადენი:**

– საქართველოზე პირველი შთაბეჭდილება საუცხოო დამრჩა. თქვენ ქვეყანაში კარგი ადამიანები ცხოვრობენ. ახალი პარტნიორებითაც კმაყოფილი ვარ და პირველი წვრთნიდანვე კარგად შევეწყვე. საქართველოს ნაკრებში ვარჯიში ძალიან საინტერესოა და იმედია, თამაშის დროსაც ასევე იქნება. სერბეთისა და ავსტრიის სახით მძიმე მოწინააღმდეგეებთან მოგვიწევს შებმა, თუმცა მომავალს ოპტიმისტურად ველით.

**სანდრო მამუკელაშვილი:**

– საქართველოს ნაკრებში თამაში ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ბავშვობიდან ჩვენი ნაკრების თამაშებზე დავდიოდი და მისი წარმატება ძალიან მახარებდა. 14 წლიდან უცხოეთში გავემგზავრე და უკვე იქიდან ვადევნებდი თვალს ჩვენების გამოსვლას. მოხარული ვარ, ნაკრების სრულუფლებიანი წევრი რომ გავხდი. მოუთმენლად ველი სერბეთთან პირველ მატჩს.

აქვე ამბები სერბეთის ნაკრებზეც:

იმის მიუხედავად, რომ სერბეთის მთავარმა მწვრთნელმა, ალექსანდარ ჯორჯევიჩმა 25 კალათბურთელი დაასახელა, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის კვალიფიკაციაზე მიიღებს მონაწილეობას, ნაადრევად მოუწია განაცხადის შემცირება.

უკვე ცნობილი იყო, რომ დენვერ ნაგეთსის ცენტრი, ნიკოლა იოკიჩი, ეროვნულ გუნდს კონტრაქტის გამო ვერ დაეხმარებოდა, ასევე ტრავმის გამო ვერ ითამაშებდა საკრამენტო კინგსის გამთამაშებელი ბოგდან ბოგდანოვიჩი.

ამ კალათბურთელებს კიდევ რამდენიმე დაემატა. ნემანია ბიელიცას ძალიან სურდა ეროვნული გუნდის დახმარება, მაგრამ იოკიჩის მსგავსად, მინესოტა ტიმბერვულვზთან კონტრაქტი, ამის ნებას არ რთავს. მსგავსი პრობლემა აქვს ლოს ანჯელეს კლიპერსის გამთამაშებელს, მილოშ თეოდოსიჩს, რომელსაც ტრავმაც აწუხებს.

ეს ყველაფერი არ არის, ჯორჯევიჩის განკარგულებაში არ იქნებიან ფენერბაჰჩეს კალათბურთელები – ნიკოლა კალინიჩი და მარკო გუდურიჩი, ასევე ტრავმის გამო ვერ ითამაშებს მიროსლავ რადულიცაც. საბერძნეთის ჩემპიონატის ფინალში კი, ტრავმა მიიღო ოლიმპიაკოსელმა ნიკოლა მილუტინოვმა და მისი საკითხიც კითხვის ნიშნის ქვეშაა.

# კოლუმბია–იაპონია 1:2

**სარანსკი. მორდოვია არენა**

**0:1 კაგავა (6პ), 1:1 კინტერო (39), 1:2 ოსაკო (73)**

**კოლუმბია:** ოსპინა, არიასი, დ.სანჩესი, მურილო, მოხიკა, ლემა, კ.სანჩესი, იზგუერდო (ბაკა 70), კინტერო (როდრიგესი 59), კუადრადო (ბარიოსი 31), ფალკაო

**იაპონია**: კავაშიმა, საკაი, იოშიდა, შოჯი, ნაგატომო, ჰასებე, შიბასაკი (იამაგუჩი 80), ინუი, კაგავა (ჰონდა 70), ჰარაგუჩი, ოსაკო (ოკაზაკი 85)

**გაძევება**: კ.სანჩესი (3)



მატჩი იაპონელთათვის ჩინებულად დაიწყო. მე-3 წუთზე კარლოს სანჩესმა კარისკენ მიმავალი ბურთი ხელით შეაჩერა, პენალტი, წითელი ბარათი და შინჯი კაგავას გოლი – 0:1.

ერთია, თამაში ისე გაგრძელდა, თითქოს კოლუმბია კაცნაკლული არც ყოფილიყო. ბურთს ძირითადად ისინი აკონტროლებდნენ და მეტნაკლებად მწვავედ უტევდნენ.

ნახევარი საათის თავზე კოლუმბიელთა მწვრთნელმა უცნაური გადაწყვეტილება მიიღო. ჯერ ის, რომ სასტარტო შემადგენლობაში არ ჰყავდა გუნდის ლიდერი და წინა მუნდიალის საუკეთესო ბომბარდირი ხამეს როდრიგესი და შემდეგ გუნდის ერთ-ერთი ლიდერი კუადრადო მოხსნა და მის ნაცვლად მოედანზე ბარიოსი შეუშვა.

ასეა თუ ისე, პეკერმანის გუნდმა გაათანაბრა: ხუან კინტერომ საჯარიმო ეშმაკურად დაარტყა და კავაშიმამ მხოლოდ ხაზს შიგნით მოახერხა მისი დაჭერა – 1:1.

მეორე ტაიმში კოლუმბიელები უფრო ანგარიშის შენარჩუნებაზე თამაშობდნენ და ინიციატივა მეტოქეს დაუთმეს. პეკერმანმა საქმეში ხამესიც ჩართო, მაგრამ მისი შეგირდები მხოლოდ ბურთის მოგერიებით იყვნენ დაკავებულნი.

იაპონელთა მასირებულმა შეტევებმა შედეგი 73-ე წუთზე გამოიღო, როდესაც კეისუკე ჰონდას კუთხურის შემდეგ იუია ოსაკომ თავით გადაგზავნა ოსპინას კარში – 1:2.

კოლუმბიამ მხოლოდ ამის შემდეგ მოუმატა, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო. იაპონია მეორედ შეცდომის დაშვებას არ აპირებდა და მშვიდად მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – გაკუ შიბასაკი.

რთული ასარჩევი იყო იაპონელთა ცენტრალურ ნახევარმცველსა და გოლის ავტორს შორის საუკეთესოს დასახელება, საბოლოოდ, შიბასაკი ვამჯობინეთ. მართალია, გაკუ გატანილი გოლით არ გამორჩეულა, მაგრამ მოედნის ცენტრში ბევრს მუშაობდა და მისი დამსახურებაა, რომ კოლუმბიელებს მოედნის ცენტრის გადაკვეთა უჭირდათ.

# სანდრო ბაზაძის ბრინჯაო სერბეთიდან

სერბეთის ქალაქ ნოვი სადში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე ფარიკაობაში სანდრო ბაზაძემ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ხმლით მოფარიკავე ქართველმა ჯგუფურ ეტაპზე ექვსიდან ხუთი ბრძოლა მოიგო და ფლეი ოფში გავიდა, სადაც მეოთხედფინალში იტალიელი ლუკა კურატოლი 15:14 დაამარცხა, ნახევარფინალში კი, ქართველი მოფარიკავე გერმანელ მაქს ჰარტუნგს დაუპირისპირდა, რომელსაც ჯგუფურ ეტაპზე მოუგო. სანდრო გამარჯვებასთან ახლოს იყო, 14:12-ს იგებდა, თუმცა 14:15 წააგო და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

აღსანიშნავია, რომ სანდრო ბაზაძემ 2017 წლის ევროპის ჩემპიონატზე ასევე ნახევარფინალში წააგო და მაშინაც მაქს ჰარტუნგთან.

ევროპის ჩემპიონატზე ქართველი მოფარიკავეებიდან 19 წლის ნიკა შენგელია 16 საუკეთესო სპორტსმენში მოხვდა, ხოლო ბექა ბაზაძე და მიხეილ მარდალეიშვილი 32 საუკეთესოს შორის.

# ბელგიამ და ინგლისმა მუნდიალი მოგებით დაიწყეს

**ბელგია-პანამა 3:0**
**სოჭი. ფიშტი**
**1:0 მერტენსი (47), 2:0, 3:0 ლუკაკუ (69, 74)**

**ბელგია:** კურტუა, ალდერვეირელდი, ბოიატა, ვერტონგენი, მენიე, ვიტცელი (ჩადლი 90), დე ბრუინი, კარასკო (დემბელე 74), მერტენსი (ტ.აზარი 83), ე. აზარი, ლუკაკუ

**პანამა:** პენედო, მურილიო, ესკობარი, პ. ტორესი, დევისი, გომესი, კუპერი, გოდოი, როდრიგესი (დიასი 63), პერესი (ტეხადა 73), ბარჩენასი (გ.ტორესი 63)



ბელგიამ თავიდანვე მოუჭირა მარწუხებს და საწყის წუთებში რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა. მერტენსს, აზარს, ლუკაკუს ჰქონდათ შანსი, მაგრამ გოლამდე საქმე არ მისულა. ბელგიელები ბურთსაც გაცილებით მეტი დროის განმავლობაში ფლობდნენ, კარში 3-ჯერ დაარტყეს, როდესაც მეტოქეს საერთოდ არ შეუწუხებია კურტუა.

პანამის დაცვა სუსტად გამოიყურებოდა და ბელგიელები შესვენებაზე უგოლოდ რომ გავიდნენ, საკუთარ თავს უნდა დააბრალონ.

რობერტო მარტინესის შეგირდებმა ეს შეცდომა მეორე ტაიმის დასაწყისშივე გამოასწორეს. 47-ე წუთზე დრის მერტენსმა ბურთს ძალაც მისცა, სიზუსტეც, ტრაექტორიაც და შესანიშნავი გოლი გაიტანა.

მალევე, მომენტი პანამასაც შეექმნა, მაგრამ კურტუამ იხსნა კარი. ბელგია ცოტა დამშვიდდა, მაგრამ შეტევები არ შეუწყვეტია და რომელუ ლუკაკუმ შეირგო დრის მერტენსის იდეალური პასი.

ლუკაკუმ დუბლი შეასრულა – ამჯერად, ასისტენტობა ედენ აზარმა გაუწია. დანარჩენი ტექნიკის საქმე იყო და ბელგიელებმაც მშვიდად მიიყვანეს მატჩი გამარჯვებამდე.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – რომელუ ლუკაკუ

ბელგიელთა თავდამსხმელს მუდმივად წნეხის ქვეშ ჰყავდა პანამელი მცველები. კონკაკაფელებმა ამ წნეხს პირველ ტაიმში კი გაუძლეს, მაგრამ მეორეში ბელგიელ შემტევს ვერაფერი მოუხერხეს და მანაც ორჯერ დასაჯა მეტოქე.

**ტუნისი-ინგლისი 1:2**
**ვოლგოგრადი. ვოლგოგრადი**
**0:1 კეინი (11), 1:1 სასი (35), 1:2 კეინი (91)**

**ტუნისი:** ჰასენი (მუსთაფა 16), ს. ბენ იუსუფი, მერია, ბრონი, მაალული, ბადრი, სასი, სხირი, ფ. ბენ იუსუფი, ხაზრი, სლიტი (ბენ ამური 73)

**ინგლისი:** პიკფორდი, უოლკერი, სტოუნსი, მაგუაირი, ტრიპიე, ლინგარდი (დაიერი 93), ჰენდერსონი, დელე ალი (ლოპტუს ჩიკი 80), იანგი, სტერლინგი (რაშფორდი 67), კეინი

მატჩი, როგორც მოსალოდნელი იყო, გარეთ საუთგეიტის შეგირდების უპირატესობით წარიმართა და მომენტების შექმნა პირველივე წუთიდან დაიწყეს. მე-3 წუთზე დელე ალის პასის შემდეგ, ჯესი ლინგარდს „სამი ლომის" დაწინაურება შეეძლო, თუმცა, ტუნისელთა მეკარე ჰასენმა ივარგა და გუნდი გაშვებულ გოლს გადაარჩინა.

ერთ წუთში, ლინგარდისა და სტერლინგის საოცარი შეთამაშების შედეგად, კიდევ ერთი მომენტი შეიქმნა, თუმცა, აფრიკელებმა სიტუაციიდან გამოძრომა შეძლეს. კუნძულელთა მორიგ შეტევას, ამჯერად, გოლი მოჰყვა და ტაბლოზე ანგარიშის შეცვლა ჰარი კეინმა მოახერხა. საგულისხმოა, რომ ამ სიტუაციაშიც, ჰასენმა საოცარი სეივი განახორციელა, თუმცა, დამატებაზე ტოტენჰემის შემტევმა კარგად ითამაშა.

გეტყვით, რომ ტუნისელთა მეკარემ, რომელმაც გუნდი აშკარა გოლს 2-ჯერ გადაარჩინა, ტრავმა მიიღო და შესაცვლელი გახდა. მე-11 წუთიდან მოყოლებული, ინგლისელები მეორე გოლის გატანას ცდილობდნენ, მაგრამ კაილ უოლკერმა, საჯარიმოში იუხეშა და ტუნისელების სასარგებლოდ, თერთმეტმეტრიანი დაინიშნა, რომელიც სასიმ გამოიყენა და ანგარიში გაათანაბრა.

პირველი ნახევრის დასრულებამდე წამებით ადრე ლინგარდს შეეძლო გოლის გატანა, თუმცა, შეცვლაზე შესულმა მეკარემ, ბენ მუსტაფამ ხელის შეშლა მაინც მოახერხა.

პირველ ტაიმში ინგლისმა კარში 5-ჯერ დაარტყა და 1 გოლი გაიტანა. ტუნისის ეროვნული გუნდისთვის ერთი დარტყმა გახდა საჭირო, რათა შესვენებაზე ფრით გასულიყო.

მეორე ტაიმი ინგლისელთა უპირატესობით წარიმართა, მაგრამ კარში დარტყმასა და ანგარიშის შეცვლას, საუთგეიტის დამოძღვრილები ვერ ახერხებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მეორე ტაიმში საუთგეიტმა შეცვლები განახორციელა, „დედოფლის დალოცვილმა" ნაკრებმა 91-ე წუთამდე გოლი ვერ გაიტანა. კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს ჰარი კეინი დაუხვდა და დუბლთან ერთად, ეროვნულ გუნდს 3 ქულა ჩაუწერა აქტივში.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – ჰარი კეინი

დაძაბული შეხვედრის ფონზე, ერთ-ერთი ნათელი წერტილი ჰარი კეინი იყო, რომელმაც მატჩში დუბლის გაფორმება მოახერხა და ინგლისელებს პირველი 3 ქულა მოუპოვა.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# ჟერომ ბოატენგი ბაიერნიდან წასვლას აპირებს



ბაიერნის ცენტრალური მცველი ჟერომ ბოატენგი მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, სავარაუდოდ, ბაიერნს დატოვებს, რადგან სხვა ჩემპიონატში სურს ძალების გამოცდა.

ბოატენგის ყიდვა ტურინის იუვენტუსს სურს და იტალიელები მზად არიან, ამ ტრანსფერში 30 მილიონი ევრო გადაიხადონ.

ბაიერნი, სავარაუდოდ, თავის ერთ-ერთ ლიდერს ასე იოლად არ დათმობს და ტურინელებს უფრო დიდი თანხის გადახდა მოუწევთ.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# ბავშვის ქანდაკების მკერდზე ხელით შეხება ოჯახს ძვირად დაუჯდა



ამერიკის ქალაქ კანზასის მცხოვრებლებმა სარა და შენონ გუდმანებმა სადაზღვევო კომპანიისგან წერილი მიიღეს, რომელშიც მათი შვილის მიერ საზოგადოებრივ ცენტრში ქანდაკების დამტვრევისთვის ჯარიმის გადახდას ითხოვენ.

ინციდენტი 19 მაისს კანზასის საზოგადოებრივ ცენტრში მოხდა, სადაც ქორწილი იმართებოდა. დარბაზში გასაყიდად იყო გამოდგმული აფროდიტეს ქანდაკება, რომელიც თანამედროვე მოქანდაკის ბილ ლაიონსის მიერ მინისა და სარკეებისგან იყო დამზადებული.

დარბაზის სათვალთვალო კამერებმა დააფიქსირეს, თუ როგორ მიუახლოვდა ქანდაკებას ხუთი წლის ბიჭი, ჯერ მკერდზე შეეხო, მერე კი ჩაეხუტა. მან ქანდაკება თავისკენ მიიზიდა, რის შედეგადაც ის იატაკზე გადმოვარდა. ამ დროს მისი მშობლები იმავე დარბაზში დივანზე ისხდნენ და საუბრობდნენ.

ბილ ლაიონსმა თავისი ნაწარმოების დაზიანება 132 ათას დოლარად შეაფასა. მოქანდაკემ აღნიშნა, რომ ქანდაკება შეცვლას ან აღდგენას არ ექვემდებარება, ამიტომ ის მის გაყიდვას ვეღარ შეძლებს.

სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ ქანდაკების დაზიანებაში პასუხისმგებლობა ბავშვის მშობლებს ეკისრებათ, რომლებიც საკუთარი შვილის საქციელის გაკონტროლებას ვერ ახერხებენ. თავის მხრივ ბავშვის მშობლები ამტკიცებენ, რომ უბედურ შემთხვევას ჰქონდა ადგილი, რომლის დროსაც მათი შვილი დაშავდა. მათი თქმით, ქანდაკება გასასვლელში იდგა და დაცული არ ყოფილა.

# დელფინმა აუზში მაყურებლების თვალწინ იმშობიარა



უკრაინის ქალაქ ოდესაში დელფინარიუმის მაყურებლები დელფინის მშობიარობის თვითმხილველები გახდნენ.

ერთ-ერთმა თვითმხილველმა გადაიღო ვიდეორგოლი, რომელზეც ჩანს, თუ როგორ ურტყამს წრეებს აუზში დელფინი, შემდეგ კი წყალში მუქი ფერის ლაქა წარმოიშვა. გარკვეული პერიოდის შემდეგ კი მდედრი დელფინის გვერდით პატარა დელფინი გამოჩნდება.

მომხდარის შესახებ ასევე გამოაცხადეს დელფინარიუმის რადიოკვანძში.

– თქვენ თვალწინ ახალი სიცოცხლე დაიბადა, – განაცხადა დელფინარიუმის თანამშრომელმა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ჩინეთში კრევეტებისა და რვაფეხების წვიმა მოვიდა

ჩინეთის ქალაქ ცინდაოში ყვითელ ზღვაში ამოვარდნილი ძლიერი ქარიშხლის გამო ზღვის ცხოველების წვიმა წამოვიდა. ციდან ცვიოდნენ კრევეტები, რვაფეხები, ზღვის ვარსკვლავები. ამ მოვლენის ამსახველი ვიდეო იუთუბიზე იქნა განთავსებული.

ჩინეთის მეტეოროლოგიურმა სამსახურმა დაადასტურა, რომ ხმელეთზე აღმოჩნდა უამრავი ზღვის ბინადარი. აღსანიშნავია, რომ ძლიერი ქარის გამო წყლიდან ძალიან შორ მანძილზე ზღვის ბინადრების აღმოჩენა არცთუ დიდ იშვიათობას წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ ანალოგიურ შემთხვევას ჰქონდა ადგილი 2017 წელს მექსიკის ქალაქ ტამპიკოში. წვიმის დროს ციდან წვრილი თევზი ცვიოდა.

# ასტროპროგნოზი

## 20 ივნისისთვის



**ვერძი** – პრობლემების მოსაგვარებლად საკმაო ენერგიის ხარჯვა მოგიწევთ. კრიტიკული დღეა. **კურო** – ახალი იდეების რეალიზაციისა და საქმიან ქაღალდებზე ხელმოსაწერად კეთილისმყოფელი დღეა. მეგობრები მხარს გიჭერენ. **ტყუპები** – ცრუ დაპირებებისა და ილუზიებისგან გათავისუფლდით. აკონტროლეთ ემოციები. **კირჩხიბი** – ბიუჯეტის შესავსებად შანსი გამოიყენეთ. ფულის ფლანგვა რეკომენდებული არ არის. **ლომი** – საქმიან შეხვედრებს ნუ დაგეგმავთ. ერიდეთ კამათსა და ფუჭ საუბრებს. **ქალწული** – ახლობელთან ურთიერთობას იმედგაცრუება მოჰყვება. გადაამოწმეთ მიღებული ინფორმაცია. **სასწორი** – თავქარიანობა და საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულება საკმაოდ დაგაზარალებთ. ხალხმრავალ ადგილებს ერიდეთ. **ღრიანკალი** – მშვიდი სამუშაო დღეა. გიუმჯობესდებათ გარშემომყოფებთან ურთიერთობა და მატერიალური მდგომარეობა. **მშვილდოსანი** – ნუ იაქტიურებთ და იოლად ნურავის მიენდობით. საკუთარი შესაძლებლობები რეალურად შეაფასეთ. **თხის რქა** – მიუხედავად მზარდი სასიცოცხლო პოტენციალისა, გეგმების რეალიზაციაში ხელი გეშლებათ. საქმიან პარტნიორთან ნუ იკამათებთ. **მერწყული** – სასარგებლოა გარემოს შეცვლა, საყიდლებზე წასვლა. ნებისმიერ სიტუაციაში მოთმინება გმართებთ. **თევზები** – სიახლეებს მშვიდად შეხვდით. იმოქმედეთ ცივი გონებით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში; 2. „გარგანტუა და პანტაგრუელის" ავტორი; 3. ნიუ იორკის ერთ-ერთი რაიონი; 4. ებრაული წესით დაყენებული ღვინო; 7. მინერალური წყალი სამეგრელოში; 9. ხეობა სტეფანწმინდის რაიონში; 12. ამერიკელი ასტრონავტი, პირველი ადამიანი მთვარეზე; 14. რეგიონი კახეთში; 15. ფირმა „კოდაკის" დამფუძნებელი; 17. აეროპორტი ოსლოში; 20. ღვინის თიხის სასმისი.

**თარაზულად:** 5. მდინარე ვაშინგტონში; 6. სომხეთა მღვდელი; 8. ბაზრის ძველი სახელწოდება საქართველოში; 10. ქართული წარმოშობის რუსი კომპოზიტორი, ქიმიკოსი; 11. ყოველდღიური გაზეთი საფრანგეთში; 13. მეთორმეტე საუკუნის ქართველი ხატმწერი, ოქრომჭედელი; 16. ენის ბგერითი შედგენილობის შემსწავლელი ენათმეცნიერების ნაწილი; 18. ფრანგი მწერალი, ავანგარდისტი მხატვარი, კინორეჟისორი; 19. სამონასტრო კომპლექსი გორის რაიონში; 21. სპეციალური სათხილამურო ფეხსაცმელი; 22. მომღერალთა, მოცეკვავეთა ჯგუფი; 23. სამცხე-ჯავახეთის მმართველთა ტიტული.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

# წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პიგმალიონი; 2. კავანი; 3. გრდემლი; 4. ბრიჯი; 5. სიტროენი; 6. ლუქსი; 7. ჰანტელი; 9. ვიტესი; 13. გაყრა; 17. საგა; 18. კია.

**თარაზულად:** 1. პარსეკი; 3. გალები; 8. ჩიხურა; 10. ბარტერი; 11. ტარტუ; 12. ნიამორი; 14. ფიესტა; 15. სპიტაკი; 16. ნესვი; 19. სურამი; 20. ჯინჯილა; 21. ყაბახი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჰონოლულუ; 2. განდი; 3. გუჯაბიძე; 4. რიბერი; 7. ამური; 9. ეთიკა; 12. ადრენალინი; 14. სენსეი; 15. კოსტავა; 17. არქტიკა; 20. პუარო.

**თარაზულად:** 5. ბოლქვაძე; 6. მაუზერი; 8. ბოდრუმი; 10. კაროტინი; 11. ალგეთი; 13. ავენიდა; 16. ყაზახეთი; 18. კრინი; 19. ფსოვი; 21. პუშერი; 22. ავლაბარი; 23. კრიკინა.

# ია ტომაშს შეყვარებულმა „იქს ფაქტორის“ სცენაზე ხელი სთხოვა



„იქს ფაქტორის“ მეორე საკონკურსო ტური დუეტებს მიეძღვნა. სხვადასხვა მუსიკალური პროექტის მონაწილეებმა „იქს ფაქტორის“ კონკურსანტებთან ერთად ცნობილი სიმღერები შეასრულეს.

ია ტომაშმა დუეტში მარიკო ლეჟავასთან ერთად იმღერა. წარმატებული ნომრის შემდეგ სცენაზე იას შეყვარებული დემეტრე მიქელაძე ავიდა და მას ხელი სთხოვა. იამ საყვარელ ადამიანს თანხმობით უპასუხა და შეყვარებულის მიერ ნაჩუქარი ბეჭედი თითზე მოირგო.

ია ტომაშისთვის „იქს ფაქტორი“ წარმატებულად დაიწყო. წინა საკონკურსო ტურში არაჩვეულებრივი შესრულების წყალობით ის ლიდერი გახდა. დათო ევგენიძემ მის გამოსვლას პატარა ლექსიც მიუძღვნა – ია ტომაში, მე ვარ კომაში. მომღერალმა კი ერთგულ მსმენელსა და გულშემატკივრებს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა:

– ლიდერობა ასეთ მეგაპროექტში მეგონა მიუღწეველი.. შოკში ვიყავი, ბევრმა ჩემს მიმიკაზეც იხუმრა და იცინა, როცა ლიდერი დაასახელეს... მე თქვენ გამაბედნიერეთ და მომანიჭეთ ეს უდიდესი სიამოვნება! სიყვარული და პატივისცემა ჩემგან ყველა ადამიანს, ვისაც არ დაენანა ერთი ზარიც კი.

# „იქს ფაქტორი“ ალექს კიკვიძემ დატოვა



„იქს ფაქტორის“ დუეტების ტური წარუმატებელი ალექს კიკვიძისთვის აღმოჩნდა. კონკურსანტებმა მუსიკალური პროექტების მონაწილეებთან ერთად იმღერეს.

ალექს კიკვიძემ დუეტში თორნიკე ყიფიანთან ერთად იმღერა, გორის გოგონათა გუნდმა ოთო ნემსაძესთან ერთად, ია ტომაშმა მარიკო ლეჟავასთან ერთად, ლიკუნა თუთისანმა გრიგოლ ყიფშიძესთან ერთად, ანრი გუჩმანიძემ გიორგი ნაკაშიძესთან ერთად, გიორგი ფუტკარაძემ ლუკა ზაქარიაძესთან ერთად, მარიამ შენგელიამ დიმა კობეშავიძესთან ერთად და თამთა ხუხუნაიშვილმა ლევან მასპინძელაშვილთან ერთად. წყვილებმა მსოფლიოს ცნობილი ჰიტები შეასრულეს.

მესამე საკონკურსო ტურში სულ შევიდა 31.210 ხმა. საკონკურსო ტურის ლიდერი გიორგი ფუტკარაძე გახდა, აუტსაიდერებად კი ალექს კიკვიძე და ანრი გუჩმანიძე დასახელდნენ. ერთწუთიანი ხმის მიცემის დასრულების შემდეგ პროექტი ალექს კიკვიძემ დატოვა.

# სამგლოვიარო განცხადებები

## ლეილა შანავა-ქარდავას გახსენება



წელიწადი გავიდა... უშენობის, უზომო ტკივილისა და უსაშველო მონატრების ერთი წელი...

ძალიან გვიჭირს შენს გარდაცვალებასთან შეგუება. შენ ხომ ჩვენი ოჯახის დედაბოძი იყავი, რომელმაც იტვირთე დევნილობაში, ღია ცის ქვეშ დარჩენილ ოჯახზე ზრუნვის, თითოეულ ჩვენგანზე პასუხისმგებლობის უდიდესი ტვირთი. შესაშური შრომისმოყვარეობით ფეხზე დაგვაყენე, სიცოცხლის ხალისი დაგვიბრუნე და ყველას უსაზღვრო სითბო გვიწილადე...

შენი თავი ულმობელმა სენმა წაგვართვა, რომელსაც გაუგონარი ბრძოლისუნარიანობით თხუთმეტი წელი უმკლავდებოდი...

ყველას გული დასწყვიტე – ახლობლებს, მეგობრებს, მეზობლებს, ყოფილ მოსწავლეებს, იმათაც კი, ვინც უბრალოდ გიცნობდა.

ძალიან გვაკლიხარ, გვიჭირს შენი სიყვარულის, სითბოს, მზრუნველობის, დამოძღვრის გარეშე...

ისღა დაგვრჩენია, ვილოცოთ შენი სულისთვის, შენს სამუდამო სამყოფელს ხშირად ვესტუმროთ და ვიამაყოთ იმით, რომ ჩვენს ოჯახს ჰყავდა კარგი რძალი, მზრუნველი მეუღლე, შეუდარებელი, უთბილესი დედა და ბებია.

გვჯერა, რომ იმ ქვეყნიდანაც დაგვიცავ, იქნები ჩვენი მფარველი ანგელოზი...

მშვიდად განისვენე!

შენი დიდი ოჯახი

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

# თემურ თათარაშვილი თაღლითების მსხვერპლი გახდა



მომღერალი თემურ თათარაშვილი თაღლითების მსხვერპლი გახდა. მან სოციალურ ქსელში გაავრცელა განცხადება თაღლითური კომპანიის შესახებ, რომელიც, მისი თქმით, ურცხვად ატყუებს კლიენტებს:

– ჩემი ამ სტატუსით მინდა გაცნობოთ იმ თაღლითური კომპანიის შესახებ, რომელიც ურცხვად ატყუებს კლიენტებს.

3 თვის წინ ჩემი ნოუთბუქი მაქ ბუკ ეარი, რომელიც ნაყიდია უცხოეთში და ბოლო რამდენიმე წელია, კარგად მუშაობდა, აღარ ჩაირთო. მივმართე თბილისში, ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე სერვის-ცენტრს „ეფლ სითი“. მათ ჩაიბარეს ჩემი ნოუთბუქი და მითხრეს, რომ გასაკეთებლად ცენტრალურ ოფისში გადააგზავნიან.

3 თვის განმავლობაში ხან ვრეკავდი, ხან მივდიოდი და დღეს-ხვალ, დღეს-ხვალ – ასეთი პასუხებით მისტუმრებდნენ. 3 თვის შემდეგ მითხრეს, რომ ჩემს ნოუთბუქს არაფერი ეშველება და გამომატანეს უკან.

მინდა, ყურადღება მიაქციოთ იმას, რომ ჩემი ნოუთბუქი არის მაქ ბუკ ეარ, რომელიც, ფაქტობრივად, არასოდეს ფუჭდება, გარდა მცირე პროგრამული ხარვეზისა, ისიც ძალიან იშვიათად.

ჩემი გაჭირვების შესახებ შეიტყო ჩემმა მეგობარმა და ჩემი მაქ ბუკ ეარ მივიტანეთ მის ახლობელ ხელოსანთან, რომელმაც ჩემი თანდასწრებით გახსნა და მითხრა, რომ ახლა ნამდვილად აღარაფერი ეშველება, რადგან მისი ყველა ორიგინალი შემადგენელი ნაწილი არის შეცვლილი არაორიგინალი და, ამავდროულად, დაზიანებული ნაწილებით.

მინდა, ჩემმა მეგობრებმა და ახლობლებმა იცოდნენ და გააფრთხილონ თავიანთი მეგობრები ამ კომპანიის უვიცობისა და თაღლითობის შესახებ.

# ლიტერატურულმა პრემია „ლიტერამ“ გამარჯვებულები დაასახელა



მწერალთა სახლში 2018 წლის ლიტერატურული პრემია „ლიტერას“ გამარჯვებულები დასახელდნენ. კონკურსში მონაწილეობის უფლება ჰქონდა გასულ წელს საქართველოში წიგნად გამოცემულ ყველა ორიგინალურ ლიტერატურულ ნაწარმოებს. საკონკურსოდ შემოსული 134 წიგნიდან ფინალურ ეტაპზე 38 გავიდა.

ჟიურიმ საუკეთესოები 6 ნომინაციაში გამოავლინა. გამარჯვებულებს პრიზები და სიგელები მწერალთა სახლის დირექტორმა ნატა ლომოურმა და ჟიურის წევრებმა გადასცეს. ჟიურის წევრები იყვნენ ლევან ბრეგაძე, დავით წერედიანი, ლევან ცაგარელი, ნინო სადღობელაშვილი და ირაკლი ლომოური.

პრემია „ლიტერას“ თითოეულ გამარჯვებულს საპრიზო თანხა 5000 ლარი გადაეცა. ჟიურის გადაწყვეტილებით, წლევანდელი ლიტერატურული პრემია „ლიტერას“ გამარჯვებულები გახდნენ სოსო მეშველიანი წლის საუკეთესო პოეტური კრებულისთვის, შორენა ხუხუა წლის საუკეთესო დებიუტისთვის, გიგი ხორნაული წლის საუკეთესო დოკუმენტური პროზისთვის, ბექა ქურხული წლის საუკეთესო პროზაული კრებულისთვის, ნაირა გელაშვილი წლის საუკეთესო რომანისთვის, მაქსიმე მაჩაიძე წლის საუკეთესო წიგნის ყდის დიზაინისთვის.

ლიტერატურული პრემია „ლიტერა“ კულტურის სამინისტრომ მწერალთა სახლთან ერთად 3 წლის წინ დააარსა. მისი მიზანი ლიტერატურული პროცესების წახალისება და გააქტიურებაა.

# მიხეილ ზაქარიაშვილი კულტურის სამინისტროს გაუქმების მომხრეა



არაერთი ცნობილი სიმღერის ავტორ-შემსრულებელი მიხეილ ზაქარიაშვილი საქართველოში კულტურის სამინისტროს გაუქმების მომხრეა. ამის მიზეზად კი მარინა ბერიძის არსებობას ასახელებს:

– კულტურის სამინისტროს აუქმებენ? ეუჰ, ძლივს არ დავეთანხმე ამ ხელისუფლებას რაღაცაში...

რა საჭიროა კულტურის სამინისტრო, როცა მარინა ბერიძე ჰყავს ერს.

# ნინა წკრიალაშვილი რუსთავი 2-ზე გადაცემას წაიყვანს



20 ივნისიდან რუსთავი 2-ზე დიდი პრემიერა დაიწყება.

ტოკშოუ პროფილის შემოქმედებითი გუნდი მაყურებელს ახალ გადაცემას შესთავაზებს, რომლის წამყვანიც მომღერალი ნინა წკრიალაშვილი იქნება:

– ჩვენ ვიწყებთ ახალ გადაცემას ყველა იმ ქალბატონისთვის, ვისაც ჰგონია, რომ ყველაფერი დამთავრდა. ჩვენ შევაგროვებთ ბედნიერ წამებს თქვენი ცხოვრებიდან და ერთად შევქმნით „სილამაზის ფორმულას“ ნინასთან ერთად.

# ხცისის ეკლესია ინგრევა



საქართველოში ბევრი უძველესი ეკლესია-მონასტერია. ზოგი აღდგენილი და რესტავრირებულია, ბევრიც ურთულეს მდგომარეობაშია და გადაუდებელ დახმარებას საჭიროებს.

გიორგი ჩუბინიძემ ხცისის ეკლესიის ფოტოები გაავრცელა და მის უმძიმეს მდგომარეობაზე შესაბამის უწყებებთან დაკავშირება ითხოვა:

– ხცისის ეკლესია რომ ამ დღეშია, როგორ მოვიქცეთ, კიდევ ვის მივმართოთ?

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

# დალაი-ლამამ ბედნიერად გახდომის რთულ გზაზე ისაუბრა



ტიბეტური ბუდიზმის სულიერმა ლიდერმა დალაი-ლამა XIV-მ განმარტა, თუ როგორ უნდა განთავისუფლდეს ადამიანი ტანჯვისა და ნეგატიური ემოციებისგან. ამის შესახებ მან ბალტიის ქვეყნებისა და რუსეთის ბუდისტებისთვის გამართული სულიერი სწავლების დროს ისაუბრა.

დალაი-ლამამ მსმენელებს მოუწოდა სხვების თანაგრძნობისკენ და უარი თქვან ჩაებღაუჭონ თითქოსდა ცალკე დამოუკიდებლად არსებულ „მეს“. მისი თქმით, ეს აყალიბებს რაიმეს მიმართ დამოკიდებულებას, რომლისგანაც შემდეგ წარმოიშობა მიდრეკილება და ეგოისტური ქვენაგრძნობები. ისინი თავის მხრივ მსოფლიოში ამრავლებენ ტანჯვაწვალებას, შურიანობას, ზიზღს და შიშს.

ბუდისტი დამრიგებლის თქმით, საგნებსა და მოვლენებს არ გააჩნიათ არანაირი ჭეშმარიტი და ობიექტური არსი, რასაც თანამედროვე მეცნიერებაც ადასტურებს.

– იგივე შეეხება ცნობიერებასაც. ის შემეცნების ცალკეული მომენტებისგან შედგება, – განმარტა მან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


20 ივნისისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.4586 |
| ევრო | 2.8554 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.2591 |
| 100 რუსული რუბლი | 3.8785 |

## ამინდის პროგნოზი 20 ივნისისთვის




## იკითხეთ ქართული დეტექტივი ზაფხულის დღეებში!

19 ივნისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის პირველი ტომი




**ალექსანდრე იასაღაშვილი**
მგლის ბილიკი
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

22 ივნისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-2 ტომი




**ალექსანდრე იასაღაშვილი**
შავი ვარდი
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

26 ივნისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-3 ტომი




**იორამ ჩადუნელი**
საზღაური
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

29 ივნისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-4 ტომი




**რომან გვენცაძე**
საბედისწერო გასროლა
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

3 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-5 ტომი




**ჯემალ ჩახავა**
ქურდები და არიფები
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

6 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-6-7 ტომი




**ავთანდილ ბუხრაშვილი**
ვინ მოკლა ინსპექტორი
ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

10 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-8 ტომი




**მაკა სეფაშვილი**
დანაშაული აღარ მოხდება
ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

## იუმორი



მამაკაცი, რომელსაც შვილები არ ჰყავს, მეზობელს, მრავალშვილიან მამას ეკითხება, ამას როგორ ახერხებს. მეზობელი ეუბნება:

– ამისთვის სულ ორი რამ დაგჭირდება, საპონი და იატაკის საწმენდი ჯოხი.

– რისთვის?

– ჯერ აიღე საპონი, ცოლი სააბაზანოში შეიყვანე და კარგად დაბანე...

– და იატაკის საწმენდი ჯოხი რიღასთვისაა?

– დაბანას რომ მორჩები, აიღებ ჯოხს და ქვევიდან მომიკაკუნებ და მეც ჩამოვალ...

•••

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, როგორ ქალებს ანიჭებ უპირატესობას: ჭკვიანებს თუ ლამაზებს?

– არც ერთს და არც მეორეს! ხომ იცი, რომ მხოლოდ შენ მიყვარხარ.

•••

იერუსალიმში ჩასულ რუს ტურისტს გოდების კედელთან სურს მოხვედრა. ტაქსი გააჩერა და ეუბნება:

– მინდა იმ ადგილთან მიმიყვანოთ, სადაც თქვენ, ებრაელები, ტირიხართ, ყვირით და თავს კედელს ურტყამთ.

მძღოლმა რუსი ტურისტი საგადასახადო პოლიციის შენობასთან მიიყვანა.

•••

საიქიოში ანგელოზები ღმერთს მოახსენებენ:

– ათეისტები მოვიდნენ!

– გადაეცით, რომ არ ვარ.

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– მოდი, ქალებში ხომ არ წავიდეთ?

– და შენ თვითონ რატომ არ მიდიხარ?

– შენ პროფესიონალი ხარ, მე კი მოყვარული.

– კარგი. ორი ქალი ვიცი, მათთან წავიდეთ.

– ლამაზები არიან?

– ერთი ლამაზია, მეორე კი მოყვარულისთვისაა...

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ჩემი ძმა მთელი ცხოვრება კოსმონავტობაზე ოცნებობდა.

– შენ?

– მე ექიმობაზე, რომ მისთვის მემკურნალა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*






## პსჟ რონალდუში 260 მილიონს იხდის



პსჟ კრიშტიანო რონალდუს არ ეშვება და პარიზელები მზად არიან, რონალდუს ტრანსფერში 260 მილიონი ევრო გადაიხადონ.

რონალდუს რეალის ხელმძღვანელობასთან დაძაბული ურთიერთობა აქვს, რადგან პორტუგალიელი ფეხბურთელი თვლის, რომ მას რეალში სათანადოდ არ აფასებენ. გარდა ამისა, კრიშტიანო წელიწადში ხელფასის სახით 40 მილიონ ევროს ითხოვს და პსჟ მზად არის, რონალდუს ეს სურვილი შეასრულოს.

შეგახსენებთ, რომ შარშან პსჟ-მ ზაფხულის ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერი განახორციელა, როდესაც ნეიმარი 222 მილიონად იყიდა.

## გურამ კაშია ოფიციალურად სან ხოსეს ფეხბურთელია



გურამ კაშია კარიერას ამერიკის გუნდ სან ხოსეში გააგრძელებს. ეს ინფორმაცია სან ხოსეს წარმომადგენელმა ოფიციალურად დაადასტურა. კაშია ამერიკაში ჩაფრინდება და უახლოეს დღეებში კონტრაქტზეც მოაწერს ხელს.

აღსანიშნავია ისიც, რომ სან ხოსეში ვაკო ყაზაიშვილიც თამაშობს, რომელიც მანამდე ვიტესში კაშიას თანაგუნდელი იყო და ისინი კვლავ ერთ კლუბში იქნებიან.

კაშია ვიტესში 2010 წელს გადავიდა და ჰოლანდიური კლუბის ღირსებას 8 წლის განმავლობაში იცავდა.

ამ ხნის განმავლობაში გურამმა ვიტესის მაისურით 200ზე მეტი შეხვედრა ჩაატარა.

## ნეიმარმა ბრაზილიის ნაკრების ვარჯიში გამოტოვა



რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ნეიმარს ტრავმა არ აწუხებდა და ის ჩვეულებრივად ვარჯიშობდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ყველაფერი ასე იოლად არ არის. ნეიმარმა ბრაზილიის ნაკრების ერთ-ერთი ვარჯიში გამოტოვა და, სავარაუდოდ, ამის მიზეზი ტრავმაა.

ოფიციალური კომენტარი იმის შესახებ, თუ რატომ გამოტოვა ნეიმარმა ვარჯიში, არ გაკეთებულა.

შემდეგი მატჩი ბრაზილიელებს 22 ივნისს აქვთ კოსტა რიკის ნაკრების წინააღმდეგ და, შესაძლოა, ნეიმარმა ეს შეხვედრა გამოტოვოს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## მეგან მარკლს საყვარელ კერძზე უარი ათქმევინეს



მეგან მარკლს, როგორც ბრიტანეთის სამეფო ოჯახის ახალ წევრს, მოუწევს უარი თქვას თავის საყვარელ ზღვის პროდუქტებისგან დამზადებულ კერძზე.

ტრადიციის თანახმად, სამეფო ოჯახი მკაცრ დიეტას იცავს. კარის მსახურმა გრანტ ჰაროლდმა არაერთხელ აღიარა, რომ ისინი ზღვის პროდუქტებს არ მიირთმევენ, რათა არ მოიწამლონ.

– ჩვენ არ გვსურს, რომ სამეფო გვარის წარმომადგენელი სერიოზულად მოიწამლოს, განსაკუთრებით თუ ისინი საზღვარგარეთ ვიზიტით იმყოფებიან, – განმარტა ჰაროლდმა. ასევე უელსის პრინც ჩარლზის განკარგულებით, სამეფო მზარეულები არ ამზადებენ ფუა-გრას, ვინაიდან მის მომზადებას ის არაეთიკურად მიიჩნევს.

გასტრონომიული შეზღუდვების გარდა, მარკლმა ყურადღებით უნდა შეარჩიოს საკუთარი გარდირობი: კაბების ბოლოებს შიდა მხრიდან მიამაგროს სიმძიმეები, რათა ისინი ქარმა არ აუფრიალოს, ქუდები არ უნდა ატაროს საღამოს ექვსი საათის შემდეგ, ფრჩხილებზე კაშკაშა ფერის ლაქები არ უნდა წაისვას, არ უნდა ატაროს ბეწვეული, ასევე ყველა მოგზაურობაში თან უნდა იქონიოს შავი ფერის სამოსი, იმ შემთხვევისთვის, თუ სამეფო ოჯახის რომელიმე წევრი მოულოდნელად გარდაიცვლება. ასევე მას ეკრძალება ყვირილი, ავტოგრაფების მიცემა და ხალხში საკუთარი ემოციების ხმამაღალა გამოხატვა, სელფის გადაღება, „მონოპოლიის“ თამაში და დედოფალზე ადრე დასაძინებლად დაწოლა.

ამ ყველაფრის ათვისებაში მარკლს დედოფლის პირადი მოახლე სამანტა კოენი ეხმარება.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. სტაჟიორი ადვოკატი ბრიტანეთში; 2. სამონასტრო კომპლექსი ახმეტის რაიონში; 3. კარაქის შესადღვები ძველებური ხის მოგრძო ჭურჭელი; 4. ქართველი კარიკატურისტი მხატვარი; 5. უმცროსი მეთაურის წოდება არმიაში; 6. ვულკანი ისლანდიაში; 7. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი; 9. ფულის ერთეული ისრაელში; 13. ბგერის ნახევარტონით ასამაღლებელი სანოტო ნიშანი მუსიკაში; 17. მოხალული ფქვილის გულიანი ნამცხვარი; 18. მანძილის საზომი ძველებური ფრანგული ერთეული.

**თარაზულად**: 1. ისლამის ერთ-ერთი მიმდინარეობა; 3. მარცვლეულის რაოდენობის საზომი საერთაშორისო ერთეული; 8. ქერცლფრთიანთა ოჯახის მწერი; 10. ორგზის მსოფლიო ჩემპიონი ბრაზილიელი ფეხბურთელი; 11. ქალაქი იაპონიაში; 12. ტბა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე; 14. მხატვრის, მოქანდაკის სახელოსნო; 15. მაღალხარისხოვანი ყავის ერთ-ერთი ჯიში; 16. დაბალი, გრძელი ტანის მქონე მონადირე ძაღლის ჯიში; 19. ქულა ძიუდოში; 20. ღვინისა და დროსტარების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 21. ქართველი ავტომრბოლელი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

